ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 268 (19410) ◆ ხუთშაბათი, 21 ნოემბერი 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მოწინავეთა მხარდამხარ

სამოც ერთეულზე მეტი რობოტმანიპულატორი დაიდგა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ლაბორატორიებში, საამქროებსა და უბნებში.

რობოტტექნიკის გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა შრომის პირობები, გაზარდა წარმოების ეფექტიანობა. გაერთიანებასთან ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს რობოტიზაციის რეგიონალური ცენტრი. მისმა თანამშრომლებმა სხვადასხვა საწარმოში დადგეს 218 რობოტმანიპულატორი და რიცხვულ პროგრამული მართვის ჩარხი.

სურათზე: მექანიკური საამქროს მოწინავე ხარატი დათო ბლიაძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ, გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ გადაუჭრელია სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარების ბევრი საარსებო პრობლემა. ცნობილ იქნა არასაკმარისად მუშაობა, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ხელმძღვანელობა, ავიასაწარმოთა კოლექტივები და მათი პარტიული ორგანიზაციები ეწევიან სამოქალაქო ავიაციის განვითარების ორმხრივ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია სახელმწიფო დავალებათა უთუო შესრულება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, ობიექტების დროულად ამოქმედება, მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მუშაობაზე და მკაცრი შეფასება მისცა იმ სამინისტროების, უწყებების, სამშენებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მოთხოვნათა შესრულება.

მიღებულ დადგენილებაში დასახულია იმ დამატებითი ღონისძიებათა განხორციელების ამოცანები, რომელთა მიზანია საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმების ფართოდ დანერგვის გზით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პარტიის წალკის რაიკომის მიერ ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებაში დაშვებული უხეში დარღვევების ფაქტები. სხდომაზე აღინიშნა, რომ მომთხოვნელობის შენელებამ, უპრინციპობამ და წაყრუებამ პირებისადმი, რომლებიც ურიგდებიან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, სოციალისტური საკუთრების განიავებასა და დატაცებას, უარყოფითი გავლენა მოახდინა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მდგომარეობაზე რაიონში, გამოიწვია სერიოზული ჩამორჩენა სახალხო მეურნეობის ბევრ სფეროში.

პარტიის წალკის რაიკომის ბიუროს მუშაობა ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლისათვის მიჩნეულია სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში უხეში დარღვევებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყო რაიონული პარტიული ორგანიზაციის სათანადო ხელმძღვანელობა, საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ო. ხრისტიანოვი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კომისიას დაევალა განიხილოს კადრების შერჩევისა და განაწილების პარტიული პრინციპების უხეშ დარღვევებთან დაკავშირებულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ პარტიულ კონფერენციებზე ყოველმხრივ გააანალიზონ საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა, უზრუნველყონ კადრებთან მუშაობის ლენინური ნორმების მკაცრად დაცვა, გააძლიერონ პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების როლი და პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაკთა დაწინაურების საკითხებში.

შეჯამდა 1985-1986 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მომზადების შედეგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა მნიშვნელოვანი მოცულობის მუშაობა გასწიეს ზამთრის სეზონისათვის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოსამზადებლად, და დასახა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ხარჯვის, ელექტროენერგიისა და სითბოს მომჭირნე ხარჯვისათვის პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, მთელი მოსახლეობის დარაზმვის ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა პარტიის სოხუმის, გაგრის, წყალტუბოს საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნების (ამხანაგები გ. ნაჭყებია, ე. კაბბა, გ. აბზიანიძე) და ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის (ამხ. რ. დოლიძე) ინფორმაციები ბარაკებისა და სარდაფის საცხოვრებელი სადგომების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ და არასაკმარისად ცნო ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა. არსებული ჩამორჩენის დაძლევის მიზნით დაისახა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივების დარაზმვა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამტკიცებული პროგრამის უთუო შესრულებისა და ბარაკებიდან და სარდაფების საცხოვრებელი სადგომებიდან ამ სახლებში მოქალაქეთა შესახლებისათვის. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

მოისმინა რა თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის — ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების უფროსის ამხ. თ. პაიჭაძის ინფორმაცია ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის სრულყოფის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნა, რომ მართვის ამ ორგანოების საქმიანობამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის დედაქალაქის ინდუსტრიული პოტენციალის უფრო სრულად გამოყენებას. დასახულ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებების საქმიანობის დონე, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ წარმოების ზრდის ყველა რეზერვი, სრულვყოთ ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურა.

მოისმინეს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ამხ. დ. დვალიშვილის ინფორმაცია იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც სამინისტრო ეწევა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სხვა ნეგატიურ მოვლენათა პროფილაქტიკისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სათანადო წესრიგის დასამყარებლად ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიის მოთხოვნათა შესაბამისად. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებს დაევალათ, უზრუნველყონ საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის ქმედითობის შემდგომი გაძლიერება, გაზარდონ ადგილობრივი საფინანსო და საბანკო დაწესებულებების აქტიურობა სხვადასხვა ბოროტმოქმედების ფაქტების აღკვეთისათვის ბრძოლაში.

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ შეუნელებელი კონტროლი დააწესონ საფინანსო და საბანკო დაწესებულებების საქმიანობას, გააუმჯობესონ მუშაობა ფინანსურ-ეკონომიკური და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების კადრების შერჩევის, განაწილებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მიზნად დაისახონ მათ წარმოორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოციალისტური დისციპლინის დარღვევათა თავიდან აცილებას.

მიაჩნია რა რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების უმნიშვნელოვანეს ამოცანად სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განსაზღვრა სახელშეკრულებო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საფუძველზე უკეთესი საბოლოო შედეგების მიღწევის მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი. პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს დაესახათ ამოცანა, რომ უზრუნველყონ სამრეწველო პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა უთუო შესრულება, შექმნან წანამძღვრები წარმატებული მუშაობისათვის 1986 წლის დამდეგიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხიც.

მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის მოლაპარაკება

20 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ჟენევის წარმომადგენლობაში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მოლაპარაკება.

მოლაპარაკება დაიწყო მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის პირისპირ საუბრით. შემდეგ გაგრძელდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ე. ა. შევარდნაძე, გ. მ. კორნიენკო, ა. თ. დობრინინი, ა. ნ. იაკოვლევი, ლ. მ. ზამიატინი, ა. მ. ალექსანდროვი;

ამერიკის მხრივ — ჯ. შულცი, დ. რიგანი, რ. მაკფარლეინი, ა. ჰარტმანი, რ. რიჯუეი.

ნაშუადღევს გამართულ დასკვნით სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა შეაჯამეს ჟენევაში ორი დღის მანძილზე გამართული შეხვედრებისა და საუბრების შედეგები.

საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა სადილი გაუმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს. რ. რეიგანმა და მ. ს. გორბაჩოვმა წარმოთქვეს მოკლე სადღეგრძელოები. (საკდესი).

სურათზე: შეხვედრის დროს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

გრაფიკს უსწრებენ

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს გადაწყვეტილი აქვთ წლის დამლევამდე სოციალისტური ვალდებულების ანგარიშში 24 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღონ. ამ გადიდებული ვალდებულების შესასრულებლად აქ წლის დამდეგიდან 16 საექსპლოატაციო უბანი, 48 ცვლა და 15 კომპლექსური საიჯარო ბრიგადა იბრძვის. მეტი საკოქსე და ენერგეტიკული წიაღისეულის მოპოვებისათვის გაჩაღებული ბრძოლის ავანგარდშია ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტების მოწინავე კოლექტივები. ლენინის სახელობის შახტის იმ საექსპლოატაციო უბნებმა, რომლებსაც გამოცდილი სამთოელები ბ. ჩაფიძე, რ. მოდებაძე, რ. ქუთათელაძე, ალ. ცუცქირიძე და ზ. შარვაძე ხელმძღვანელობენ, მიმდინარე წლის ათ თვეში გეგმის გადამეტებით 11 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღეს.

ტანკერის მილიონი მილი

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერს „ზუგდიდს“ წლეულს თხუთმეტი წელი შეუსრულდა. ეს სოლიდური ასაკია გემისათვის, რომელიც მთელი დატვირთვით მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში ტანკერმა 992 ათასი მილი ცისფერი გზა დაფარა, ცურავდა მსოფლიოს თითქმის ყველა ზღვასა და ოკეანეში, 250 რეისი შეასრულა და გეგმის გადამეტებით გადაზიდა დიდძალი ტვირთი.

ტუაფსეს გემთსარემონტო ქარხანაში „მკურნალობის“ შემდეგ ტანკერმა ტვირთი მიიღო და კურსი „თავისუფლების კუნძულისაკენ“ აიღო. კუბაში ჩასვლით ხომალდი მილიონ მილს შეასრულებს. (საკ. კორ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

ბერიძეს ესმა შაქირის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონი.

მიქელაძეს ზინა ბინალის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 18 ნოემბერი.

წარმატებით დავამთავროთ ხუთწლედის ბოლო წელი!

მთებში ქალაქი იბადება

მეთერთმეტე ხუთწლედი კვაისის ალმშენებლობის წლებია. საითაც გაიხედავთ ხარაჩოებია, შენდება მაღაროელთა დაბა, თართოვდება და ახლდება საწარმოო ობიექტები. ეს კვაისისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის, ოლქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების შედეგია.

შენდება უმნიშვნელოვანესი ობიექტები, სრულდება ჯამშენდი ნაგებობის კომპლექსის მშენებლობის დიდი სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს „ჩორდმშენის“ ტრესტის კვაისის სარემონტო-სამშენებლო უბანი. გულმოდგინედ აშენებენ საქვაბესაც. „ცხინვალმშენის“ ტრესტის კოლექტივი მდინარე ჯეჯორის ნაპირებს ამაგრებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაბას შეემატება ათობით ჰექტარი ფართობი ახალი მშენებლობისათვის. წარმატებით მიმდინარეობს სამი საცხოვრებელი სახლისა და ბაგა-ბაღის მშენებლობა. მალე დაიწყება საავადმყოფოს, პოლიკლინიკის, სავაჭრო ცენტრის და პროფილაქტორიუმის, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა. სოფელ კოხეთის საუცხოო დასასვენებელი ადგილი კი გადაიქცევა მოზარდი თაობის ჯანმრთელობის კერად. მაღაროელთა შვილებისათვის აქ პიონერული კომპლექსი აიგება. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მილიონ მანეთს შეადგენს.

მალე კვაისში მწყობრში ჩადგება ახალი დიდი სიმძლავრის ქვესადგური, რომელსაც წარმატებით აშენებს „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის № 54 მექანიზებული კოლონა გ. გოცირიძის ხელმძღვანელობით. ტყეში აიგო ქვესადგურის მთავარი კორპუსი, ახლა მიმდინარეობს სატრანსფორმატორო ნაგებობის მშენებლობა.

ამრიგად, გეგმაზომიერად ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ერთობლივი დადგენილება „კვაისის მაღაროთსამმართველოში მუშაობის გაუმჯობესების, წარმოების კულტურის და ტექნიკური დონის ამაღლებისა და სოციალური საკითხების გადაწყვეტის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით გათვალისწინებული დიდი ამშენებლობისათვის გამოყოფილია 47 მილიონი მანეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ კვაისი, ფაქტობრივად, მეორედ იბადება. ეს იქნება პატარა თანამედროვე ქალაქი მაღალ მთებში. მეთორმეტე ხუთწლედში კვაისი მაქსიმალური დატვირთვით იმუშავებს და ეს კი შეესაბამება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტის მოთხოვნებს, სადაც აღნიშნულია, რომ ფერად მეტალურგიაში უპირატესი ტემპით უნდა განვითარდეს სამადნე ბაზა.

ბ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეურნეობის ახალი მიჯნები

„გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 14-16 პროცენტით. 1990 წელს გავზარდოთ ჩაის ფოთლის წარმოება 650 ათას ტონამდე“, — ნათქვამია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების პროექტში, რომელიც მაღალი მიჯნების მიღწევას გვისახავს ამოცანად სხვა დარგებშიც.

ამ დიდი მოთხოვნებისათვის მზად არის აჩიგვარის მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივი. ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ წლიდან წლამდე არ რჩება მეურნეობაში ისეთი დარგი, სადაც სახელმწიფო გეგმა და ნაკისრი გაზრდილი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით არ სრულდებოდეს.

უკანასკნელ პერიოდში მრავალი ობიექტი აშენდა აჩიგვარაში, მათგან აღსანიშნავია ჩაის ნედლეულის გადასამუშავებელი ორი მიკროფაბრიკა, რომელმაც ხელი შეუწყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

მეურნეობაში ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ და ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის 21 სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, რომლებიც ინტერნაციონალური მეგობრობის მაგალითს იძლევიან.

აჩიგვარელებმა ხუთწლედის განმავლობაში მოკრიფეს 27.200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 25.200 ტონისა. დამზადდა 2.000 ტონამდე ლაო ჩაი, 350 ტონა ტუნგის ნაყოფი, სახელმწიფოს ჩაბარდა 200 ტონამდე სიმინდის მარცვალი, 300 ტონაზე მეტი ბაღჩეული და ბოსტნეული, 300 ტონამდე რძე და 250 ტონაზე მეტი ხორცი.

ვაანალიზებთ რა მიღწეულს, ვცდილობთ მეტად გამოვიყენოთ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე, ყველა რეზერვი, გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, რათა ყველა საპარგული შესაძლებლობის მაქსიმუმს გავძლევდეს.

ამ მიზნით ჩვენ უკვე დიდი ხანია შევიმუშავეთ მეთორმეტე ხუთწლედის პერსპექტიული გეგმა და შევუდგებით მის პრაქტიკულ განხორციელებას.

მეერმის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მოძველებული პლანტაციების განახლებას. დაშრობილ მიწებზე გაშენდება 35 ჰექტარი ციტრუსი და 500 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ძირითადად უხვმოსავლიანი ახალი ჯიშების ნერგით. უკვე კალაპოტში ჩავაყენეთ მდინარე ოხურეი, რომელიც ყოველწლიურად გვისპობდა სიმინდის ნათესებს. მომავალი წლიდან კი საშუალება გვექნება მკვეთრად გავზარდოთ ამ კულტურის მოსავლიანობა.

შ. ალავიძე,
გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის გენერალური დირექტორი.

ცისფერი ალის მოლოდინში

შენდება მეგობრობის გაზსადენი

მომავალი წლიდან კიდევ ერთ დიდ საქმეს ეყრება საფუძველი. იწყება ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის, მოზდოკ-ორჯონიკიძე-საგურამო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა. ეს ტრასა თავისი ინჟინრული გადაწყვეტით უნიკალური და ურთულესი იქნება საბჭოთა კავშირში. ეს სირთულე კი იმ რელიეფმა განაპირობა, რომელზეც იგი გაივლის. ამისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სპეციალური ნორმები დაადგინა. ეს გაზსადენი სულ ცოტა 2000 წლამდე მთლიანად გადაწყვეტს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცისფერი სათბობით შეუფერხებელ უზრუნველყოფის საკითხს. გაზსადენის ტრასის მშენებლობას 230 მილიონი მანეთი მოხმარდება. მისი მწარმოებლობა დღე-ღამეში ათობით მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, მაშინ, როდესაც არსებული ტრასა ამჟამად დღე-ღამეში რამდენიმე მილიონ კუბურ მეტრ გაზს ატარებს. თუ ამჟამად მომქმედი გაზსადენის წლიური მწარმოებლობა რამდენიმე მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, ახალი ტრასის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება. აშენდება ოთხი საკომპრესორო სადგური, თითოეულის მშენებლობა 7-10 მილიონ მანეთამდე დაჯდება. სადგურები ავტომატიზაციისა და მექანიზაციის უახლესი ტექნიკით აღიჭურვება.

ახალი გაზსადენი დიდ სიხარულს მოუტანს საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობას, ეს იქნება ნამდვილი მეგობრობის გაზსადენი. ტრასის მშენებლობის გენერალური მოიჯარე გახლავთ სომხეთის საწარმოო გაერთიანება „სომხეთტრასგაზი“. ამ გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სპეციალისტები, სამინისტროები, სხვადასხვა ორგანიზაცია. კერძოდ, საწარმოო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენი“, საქართველოს და სომხეთის სარელეო კავშირგაბმულობა, ანძებს დაამზადებს „კავკასელექტროქსელმშენი“, მიწისზედა ნაგებობებსა და შენობებს ააგებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, თერგსა და ხევებზე გაზსადენის კიდული გადასასვლელების აშენებას კისრულობს საქართველოს საბაგირო გზების სახელმწიფო კომიტეტი, რომლის გამართულ მუშაობაზეც დიდად იქნება დამოკიდებული გაზსადენის დროულად ამოქმედება. პროექტის შედგენაზე მუშაობენ სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტი და „თბილჰიდრობროექტი“, „საქქალაქმშენპროექტი“, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ინსტიტუტი და სხვა.

გაზსადენის გაყვანის მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია. გადაწყვეტილია გაისად აშენდეს გაზსადენის 52 კილომეტრი. 1986 წელს გვირაბების მშენებლობის სირთულის გამო სამუშაოთა ძირითადი ნაწილი 1987 წელს შესრულდება. საკომპრესორო სადგურების აგება კი 1988 წლისათვის დამთავრდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის გაზსადენის ორჯონიკიძე-თბილისის უბნის მშენებლობისა და 1986-1987 წლებში საექსპლოატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელიც ამ გაზსადენის მშენებლობის დაჩქარებისადმი ხელშეწყობას რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს, მიიღო გადაწყვეტილება იგი მეთორმეტე ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობად გამოაცხადოს.

ლ. გურული.

საჭიროა უფრო სწრაფი ტემპი

1984 წელს რესპუბლიკაში კიდევ ერთ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. დაიწყო ქუთაის-სოხუმის მაღალი წნევის გაზსადენის მაგისტრალის მშენებლობა. მაგისტრალის გაყვანა დაეკისრა ორ სოლიდურ ორგანიზაციას — „საქგაზმშენის“ ტრესტს და სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს „საქტრანსგაზის“ საწარმო გაერთიანების კოლექტივებს.

ჩვენ გავეცანით „საქგაზმშენის“ ტრესტის მშენებელთა საქმიანობას. მათ ოჩამჩირემდე აქვთ მინდობილი გაზსადენის გაყვანასთან დაკავშირებული საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულება. დღეისათვის შესრულებულია 800 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, გეგმა კი მილიონ კუბურ მეტრს ითვალისწინებს. უზარმაზარი მილების არცთუ ცოტა ნაწილი გაყვანილია კლდოვან ამაღლებებზე, გადალახულია გაუვალი ჭაობიანი ადგილები. მაგისტრალის გასაყვან ზონაში მოხვედრილი რაიონების ხელმძღვანელები ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი დახმარება აღმოუჩინონ მშენებლებს. გულისყურით ეკიდებიან ამ საქმეს, მაგალითად, პარტიის სამტრედიის, ცხაკაიას და აბაშის რაიკომები.

აღსანიშნავია, რომ თვით ქალაქ სამტრედიაში მთავარი ქუჩების ქსელში დამთავრდა 12 კილომეტრი საერთო სიგრძის დაბალი და საშუალო წნევის ორმაგი მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა. ახლახან აგებულ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს გაზის შეყვანის სამუშაოები, და ეს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამ საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულების შედეგია. „სამტრედიაგაზის“ ტრესტის მმართველმა ჯ. ტუღუშმა გვითხრა, რომ ქუთაის-სოხუმის გაზსადენის დამთავრების დღიდანვე გაზს ერთდროულად 200 ოჯახი მიიღებს, ხოლო შემდეგ მოხდება ქალაქის მთლიანი გაზიფიკაცია, რაიონებმა, რომლებიც გაზიფიკაციის ზონებშია, ახლავე უნდა დაიწყონ ღონისძიებათა განხორციელება, რათა არ დაყოვნდეს გაზის დროული მიწოდება მოსახლეობისათვის.

სერიოზული, ძალიან რთული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი მშენებლებს. ქუთაის-სოხუმის გაზსადენი მიმდინარე წლის 20 დეკემბრისათვის უნდა ამოქმედდეს. დრო აღარ ითმენს. ასეთ პირობებში მშენებლობის შეფერხება შეუწყნარებელია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს „საქმთავარწყალმშენი“ და „საქჰიდროენერგომშენი“ აყოვნებენ არგობეტონის ნაკეთობათა მოწოდებას. თვით გაზსადენის მშენებლებმაც უნდა უმატონ შრომის ტემპს. აქ ხშირად ჭიანურდება ტექნიკის რემონტი. გაზსადენის კომპლექსის მშენებლობის კომპლექსის საერთო ნაკლი მუშახელის ნაკლებობა გახლავთ, არ ჰყოფნით კვალიფიციური მექანიზატორები, მოიკოჭლებს მშენებელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, არცთუ იშვიათად ტრანსპორტის მუშაობას ბენზინის უქონლობაც აფერხებს. ვის უნდა მოეკითხოს ამისათვის?

გაზსადენის მშენებლობასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა მაგისტრალზე შექმნილი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პარტიული ცხოვრება: რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე

როცა მიწას მზრუნველი პატრონი ჰყავს

ჯერ ძლიერი სეტყვა, შემდეგ გვალვა და ბოლოს ადრეული სუსხი. ასეთი სიურპრიზები დაატყდა თავს ბოგდანოვკის რაიონის სავარგულებს წლევანდელ სეზონში. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი წინასწარ აცხადებდა, სულერთია გეგმას თავს ვერ გავართმევთ და რა საჭიროა ტყუილუბრალოდ წელებზე ფეხი დავიდგათო.

დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციას დაადგნენ საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიონულ კომიტეტში. აქ დარწმუნებული იყვნენ: სარისკო მიწათმოქმედების ზონაშიც შეიძლება გარანტირებული მოსავლის მიღება. ოღონდ ზუსტად უნდა შევასრულოთ აგროტექნიკური წესები, ვიყოთ მაქსიმალურად ორგანიზებული, გამოვიჩინოთ სიმტკიცე. სწორედ ეს თვისებები გამოავლინეს რაიონის კომუნისტებმა.

შრომისმოყვარეობის, უნარიანი მეურნეობრიობის კარგი მაგალითი გვიჩვენეს მათ 1984 წელსაც, როცა დაამტკიცეს, რომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონის არაერთგზის გამარჯვება ენერგიულად და დროულად ამოქმედებულ პოტენციურ შესაძლებლობათა ზუსტ მეურნეობრივ გაანგარიშებაზე დამყარებული კანონზომიერებაა.

აი, მაგალითად, რა ციფრები მოიყვანეს რაიონულ პარტკონფერენციაზე. შარშან დამზადებული იყო 180 ათასი ტონა უხეში და წვნიანი საკვები, რითაც შეიქმნა მყარი საკვები ბაზა. რაიონის მშრომელებმა აწარმოეს 17,5 ათასი ტონა მარცვლეული, 12,5 ათასი ტონა კარტოფილი, ყოველ ძროხაზე მიიღეს 2.334 კილოგრამი რძე. მარცვლეულისა და კარტოფილის მოსავლიანობა შესაბამისად 29 და 151 ცენტნერამდე გაიზარდა. ეს მაჩვენებლები რაიონისათვის რეკორდულია. მართალია, ისინი მიღწეულია ამინდის პირობების მიხედვით იღბლიან წელს.

.. მაგრამ რაიონის მშრომელებმა ხომ წელსაც მიაღწიეს წარმატებას. ცხადია, უამინდობამ ძალების მეტი დაძაბვა მოითხოვა. მშრომელთა შეთანხმებული მუშაობის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით შარშანდელი დონეც კი გადაჭარბებულია. სამარცვლე კულტურების ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ ამჯერად უკვე 30 ცენტნერი, ხოლო ცალკეულ მეურნეობებში — 40-53 ცენტნერი შეადგინა.

პარტიულ კონფერენციაზე ყოველმხრივ და საფუძვლიანად გაანალიზეს ესოდენ მთამბეჭდავი შედეგები. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გააბათილეს პესიმისტთა პროგნოზები, რომლებსაც არ სჯეროდათ რაიონის უდიდესი შესაძლებლობებისა, ხოლო საკუთარი წარუმატებლობის, უუნარობის გასამართლებლად ამინდის არახელსაყრელ პირობებს იმიზეზებდნენ.

არ უნდა ველოდეთ მოწყალებას ბუნებისაგან. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა კონფერენციის მთელ მუშაობას. იმისათვის, რომ წარმატებას მივაღწიოთ ყოველგვარ ამინდში, თქვეს დელეგატებმა, ჯეროვან დონეზე უნდა ავიყვანოთ ორგანიზატორული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო საქმიანობა, გავზარდოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტი თანამიმდევრულად იღვწის მიწათმოქმედების მოწინავე მეთოდების ფართო დანერგვისათვის. პასუხისმგებლობის გადიდების, დისციპლინის განმტკიცების შედეგად რაიონში ახლა უფრო რაციონალურად, ყაირათიანად იყენებენ სასუქებს, პრაქტიკაში დამკვიდრდა საგაზაფხულო ხვნა ბელტის გადაუბრუნებლად და თესვის ჯვარედინი ხერხი.

კონფერენციაზე კარგი გაკვეთილი მიიღეს სამეურნეო ხელმძღვანელებმა, რომლებიც ერთ დროს სკეპტიციზმით მოეკიდნენ თვით ცხოვრებით ნაკარნახებ სიახლეებს. სწორედ იმ მეურნეობებში, სადაც ჯეროვნად არ აფასებდნენ გარდაქმნას, მოიწიეს ყველაზე მცირე მოსავალი. აქ ჰექტარზე მიიღეს სულ 17-18 ცენტნერი მარცვლეული. ისეთ დიდ მეურნეობაშიც კი, როგორიც სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობაა, მარცვლეულის მოსავლიანობამ სულ 28,6 ცენტნერს მიაღწია, რადგან აქაც მიწათმოქმედების მოძველებულ მეთოდებს იყენებდნენ.

კონფერენციაზე დასახეს პერსპექტიული ამოცანა: კვლავ იარონ არჩეული გზით, მეთორმეტე ხუთწლედში მარცვლეულის მოსავლიანობა გაზარდონ ჰექტარზე 40 ცენტნერამდე, ხოლო კარტოფილისა — 300 და 400 ცენტნერამდეც კი. ამ მასშტაბური ამოცანების განხორციელებისათვის მხოლოდ მოწინავე გამოცდილების დანერგვა არ არის საკმარისი. საჭიროა აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მტკიცე მოქმედება, განსაკუთრებით ბუნებრივ-კლიმატური პირობების თვალსაზრისით ესოდენ რთულ რაიონში. აი ასეთი მაგალითი: კონდურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კარტოფილის ნათესებს მიმდინარე წლის ივლისის დამლევს დიდი ზარალი მიაყენა სუსხმა, მათი აღდგენისათვის საჭირო გახდა სადღეღამისო რწყვა. მეურნეობის ხელმძღვანელობამ, მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ დარაზმეს სოფლის კომუნისტები, ყველა მცხოვრები და მოსავალი გადაარჩინეს. აქ ჰექტარზე მოიწიეს 220 ცენტნერი კარტოფილი. სამაგიეროდ რაიონის ზოგიერთ სხვა მეურნეობაში კარტოფილის მოსავლიანობამ ძლივს მიაღწია 70-80 ცენტნერს, ამასთან მოიმიზეზეს... ამინდის არახელსაყრელი პირობები.

მთავარია ვესწრაფვოდეთ სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მეცხოველეობის განვითარების ინტენსიური მეთოდების გამოყენებას, როგორც ეს აღნიშნულია ძირითად მიმართულებათა პროექტში. ამ დარგში ჯერ ყველა პრობლემა როდია გადაჭრილი. ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელები ჯეროვნად არ აფასებენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგამი სულადობის შევსების, სასელექციო-სანაშენო მუშაობის შესაძლებლობებს.

რაიონში ჯერ კიდევ ბევრია სხვა გამოუყენებელი რეზერვებიც. კერძოდ, ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი მეურნეობები ვერ ასრულებენ დავალებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით, ყველა მათგანი თანაბრად როდი უზრუნველყოფს საერთო წარმატებას. უდავოა, რაიონში ჯერ კიდევ ბევრია პოტენციური შესაძლებლობანი. ამასთან დაკავშირებით რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს პრაქტიკაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების უფრო ფართო დანერგვას. სრულიად გაუმართლებელია, რომ ესოდენ დიდ რაიონში ამჟამად მხოლოდ შვიდი უგანწესო ბრიგადა მოქმედებს.

კომუნისტების მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი აზრი ასეთი იყო: როგორიც უნდა იყოს გუშინდელი წარმატებანი, მათ არ უნდა დავჯერდეთ — საჭიროა ათვლის სხვა წერტილი, რომელიც შეესაბამება დროის მოთხოვნებს, პარტიის საყრილობო დოკუმენტებში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებში დასახულ ამოცანებს.

პარტიულ კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

(საქინფორმი).

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

რა ეშველება საწარმოს?

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება წლების მანძილზე ვერ ასრულებს საწარმოო გეგმებს. ერთ დროს მოწინავე კოლექტივი თითქოს ჩიხში მოექცა და გამოსავალს ვერ პოულობს.

გულსატკენი აქ მართლაც ბევრი ვნახე. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და გაერთიანების ძველმა ხელმძღვანელობამ დროულად ვერ შეამჩნია მოსალოდნელი საშიშროება და თითქოს გულდამშვიდებით დაელოდა ამჟამად შექმნილ რთულ მდგომარეობას.

გაერთიანება ხომ ცოცხალი ორგანიზმია, კოლექტივია — ადამიანებისაგან შექმნილი და შედუღაბებული. ყველა პროგრესული მეთოდის დანერგვა, საწარმოო პროცესების სრულყოფა, რომელიც შემდგომში წინსვლის ბერკეტად იქცევა, სპეციალისტის გონებაზე, მის გამჭრიახობაზეა დამოკიდებული. წარმოუდგენელია წარმოების ინტენსიფიკაცია ერთიანი შეკრული კოლექტივის გარეშე. ამ დროს იკარგება ყოველგვარი სიახლის გრძნობა, კოლეგიურობა, ერთმანეთის პატივისცემა. კოლექტივის დარაზმვა დიდი საქმის გასაკეთებლად ბევრად არის დამოკიდებული ხელმძღვანელზე, მის ორგანიზატორულ, შემოქმედებითს ნიჭსა და უნარზე. შეურაცხყოფას არავის ვაყენებთ, მაგრამ წლების მანძილზე ამ გაერთიანებამ ვერ იგრძნო გენერალური დირექტორის საქმიანი, მიზანსწრაფული შემართება, მხარში ამოდგომა, ბრძოლა იმისათვის, რომ კოლექტივს დაკარგული ტრადიციები აღედგინა და მოწინავეთა რიგებში ჩამდგარიყო. კადრებთან ცუდმა მუშაობამ, საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლობამ, მოშვებულობამ, საწარმოო და შრომის დისციპლინის მოშლამ, არადამაკმაყოფილებელმა სამუშაო პირობებმა თავისი ქნა. თანდათან კოლექტივში დაიწყო რღვევა, კვალიფიციურმა მუშებმა და სპეციალისტებმა დატოვეს გაერთიანება და დაიწყეს უკეთესი ადგილის ძებნა. სამუშაო პირობები აქ მართლაც სავალალოა: წვიმიანმა ამინდმა ეს კიდევ უფრო მეტად დაგვანახვა. საქსოვ წარმოებაში ზოგიერთ სამუშაო უბანზე ისე წვიმდა, როგორც გარეთ, 60 მანქანა-დანადგარი დუმდა და წვიმისაგან ცელოფანები იცავდა. დამხმარე სათავსი და მუშა-მოსამსახურეთა გასახდელი მთლიანად წყლით იყო სავსე, წყლის გუბეები იდგა საამქროში და მშრალ ადგილზე გასასვლელად სპორტული სიმარჯვე დამჭირდა.

მქსოველები გარს შემოგვეხვივნენ და თითქმის ერთხმად მოგვაყარეს: გვითხარით ასეთ პირობებში თუ შეიძლება მუშაობა, ნახეთ, რას გავს კედლები, ჭერი სადაც არის ჩამოინგრევა, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ? მოგვხედეთ, თუმცა თქვენსავით ბევრი მოსულა, უნახავს, წასულა, მაგრამ საქმეს არაფერი შველებია. ალბათ, ახლაც ასე იქნება. ასეთი საქმის ვითარება ხელს შეგვიშლის შემდგომში: სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია, რომ ახალი სტრუქტურის აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება 2-ჯერ უნდა გადიდდეს მეთორმეტე ხუთწლედში.

გაერთიანების პარტიულ კონფერენციაზე გამოსული მქსოველის, სოციალისტური შრომის გმირის ა. გამყრელიძის ჩანაწერს მოვიშველიებ: „საქსოვი წარმოების შენობის რეკონსტრუქცია მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1993 წლისათვის გადაიტანა. არადა, შენობა სულ მალე ჩამოინგრევა. განა მოსაწონია, რომ ამ სამინისტროს შესაბამისმა განყოფილებებმა დღემდე ვერ გადაწყვიტეს საქსოვი წარმოების გადახურვის საკითხ ე ბ ი? წყალი აფუჭებს ათიათასობით მანეთის პროდუქციასა და მანქანა-დანადგარებს.

სახურავიდან ჩამონადენ წყალს ემატება საქსოვ წარმოებაში მთლიანად მოძველებული ღვარსადენი მილებიდან გამონადენი წყალი. მოსამზადებელი საამქროს მიერ გამოშვებული უხარისხო ქსელი, უვარგისი მისაქსელი, ნედლეულის არარიტმული მოწოდება უარყოფითად მოქმედებს ჩვენს გუნება-განწყობილებაზე, შრომით აქტიურობაზე, რაც საბოლოოდ იწვევს საქსოვი წარმოების... გეგმის შეუსრულებლობას".

რეკონსტრუქციის თაობაზე ჯერ კიდევ 1974 წლიდან დაიწყო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და გაერთიანების ხელმძღვანელობის მიწერ-მოწერა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ერთიანი გეგმის საფუძველზე დროებით უნდა შეეკეთებინათ საქსოვი წარმოების ჭერი. ეს დაპირება რომ შეესრულებინათ, მდგომარეობა დღეისათვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. გარდა ამისა, კარგა ხანია გაერთიანების მშრომელებისათვის არ აშენებულა საცხოვრებელი სახლი, არც კეთილმოწყობილი ახალი საერთო საცხოვრებელი, კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვისაც არავითარი ლიმიტი არ გამოუყვიათ. არადა, გაერთიანებაში 4000-ზე მეტი ადამიანი შრომობს. უნდა განხორციელდეს აგრეთვე გამნიავებელი სისტემისა და საქვაბის რეკონსტრუქცია, რაც გაერთიანებას დიდ ტვირთად აწევს. აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ნედლეულის შესანახი სათავსი ვერა და ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, ჰაერზე დაუცველად ფუჭდება, ლპება და ნიავდება ასობით კილოგრამი ნედლეული, ამასაც გადაუდებლად უნდა მიხედვა. თითქმის ყველა სამუშაო რგოლს სჭირდება ძირფესვიანად შესწავლა, ახლებურად შემობრუნება და შეუნელებელი ყურადღება.

დღეისათვის გაერთიანების საწყობში 20 მილიონი გაუსაღებელი პროდუქცია აწყვია. მშრომელებს კარგა ხანია დაავიწყდათ, რა არის მატერიალური წახალისება, პრემია. საწარმო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია.

გაერთიანების მშრომელებმა კოლექტიური თხოვნით მიმართეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, იმის თაობაზე, რომ დაბრუნებულიყო თავის ადგილზე გაერთიანების ყოფილი დირექტორი ომარ ბალანჩივაძე. ასეც მოხდა. იგი ერთი თვეა, რაც დაუბრუნდა გაერთიანებას. ახალი გენერალური დირექტორის აზრით, სანამ მთლიანი რეკონსტრუქცია დაიწყებოდეს, აუცილებელია გამოინახოს იმის საშუალება, რომ საქსოვი წარმოების ჭერი შეკეთდეს, განხორციელდეს საქვაბის რეკონსტრუქცია.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ გაერთიანების ხელმძღვანელობასთან ერთად კონკრეტული ღონისძიებები უნდა განახორციელოს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

თვალს ვავლებ მიმდინარე წლის მესამე კვარტალის სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგებს. ციფრები მეტყველებენ, რომ გაერთიანების მშრომელებს არც ერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით გეგმა არ შეუსრულებიათ.

რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები ამჟამად თავდადებით იბრძვიან სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ამ თარიღებს ქუთაისის მუშათა კლასიც ღირსეულად ხვდება, მისი მიღწევები საყოველთაოდ არის ცნობილი. იმედია, რომ ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მშრომელებიც ყველაფერს იღონებენ, რათა შეკავშირდნენ, ერთიანი ძალით იბრძოლონ თითოეულ სამუშაო უბანზე შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყრილობამდე დარჩენილ დროში რადიკალურად გარდაქმნან მუშაობა და ყველაფერი იღონონ სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის.

ლ. ქინქლაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

მთლიანად ვკისრულობთ შიდარესპუბლიკურ ტვირთზიდვას

გავაძლიეროთ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა და, უწინარეს ყოვლისა, მისაბმელებისა და ნახევრად მისაბმელების ფართოდ გამოყენების, ავტომობილების არამწარმოებლური მოცდენების, ცარიელი გარბენებისა და არარაციონალური გადაზიდვა-გადაყვანის შემცირების გზით. განვავითაროთ და სრულვყოთ ცენტრალიზებული ტვირთზიდვა, უზრუნველვყოთ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის უპირატესი განვითარება.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტით დასახული ეს ამოცანები, ცხადია, მთლიანად და სავსებით ეხება ჩვენი რესპუბლიკის ავტოტრანსპორტელებსაც, ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს თ. დავითაშვილს.

— დავიწყებ იმით, — თქვა მინისტრმა, — რომ მეთორმეტე ხუთწლედში და შემდგომ პერიოდში შეუფერხებელი მუშაობისათვის ჩვენ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მართლაც სოლიდური მარაგნაკეთი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შევქმენით, ავტოტრანსპორტელები ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამაჯერებელ შედეგსაც აღწევენ. წარმატებით სრულდება ხუთწლედის ყოველი წელი. მხოლოდ გადაჭარბებით შესრულდა ყველა მაჩვენებლის მიხედვით მიმდინარე წლის ათი თვის გეგმაც.

წარმატებებს სამინისტრო, უპირველესად, სწორედ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განმტკიცების შედეგად აღწევს, სისტემატურად შენდება ახალი და ფართოვდება მოქმედი სატრანსპორტო ობიექტები. ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, შრომის პროგრესული მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცენტრალიზებული ტვირთზიდვის გადიდებას. ამ მეთოდის წილად ამჟამად ტვირთზიდვის მთლიანი მოცულობის 85 პროცენტი მოდის. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია კავშირში. ძირითად მიმართულებათა მოთხოვნის შესაბამისად, ეს მაჩვენებელი კვლავ გადიდდება და 95 პროცენტს მიაღწევს. საგრძნობლად გაფართოვდა საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის ქსელიც. მომავლისათვის საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის მარშრუტები მნიშვნელოვნად იმატებს.

ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია საავტომობილო პარკის სტრუქტურის უცილობელი გაუმჯობესება. უნდა ითქვას, რომ მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის, მისაბმელებისა და ნახევრად მისაბმელების პარკის განვითარება-სრულყოფის, საკონტეინერო ტვირთზიდვის გაფართოების მხრივ არცთუ ცოტა რამ გაკეთდა. მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან მისაბმელებით გადაზიდული ტვირთის მოცულობა 34 პროცენტით გადიდდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მისაბმელების 50 პროცენტი საკუთარი ძალებით მზადდება. ქუთაისის საცდელ-მექანიკურ ქარხანაში ათვისებულია 15-ტონიანი ამწეობის თვითსაცლელი ავტომატარებლების გამოშვება. ამ საწარმომ დღეისათვის ასობით ასეთი ავტომატარებელი მიაწოდა საწარმოს. სამინისტროს სპეციალისტთა ძალებით არის ათვისებული აგრეთვე ცვალდაძარიანი და პორტალური ამწეებით მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანიშნულების ტვირთსაზიდი ავტომობილ ე ბ ი. მათი გამოყენება კონტეინერების ტრანსპორტირებისათვისაც შეიძლება. ეს სპეცავტომობილები ძალიან მოსწონთ სოფლის მუშაკებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე სამინისტროში შეიქმნა უნივერსალური საავტომობილო კონტეინერების საკუთარი პარკი. ასეთი მძლავრი ბაზით უთუოდ გადაწყდება სამინისტროს წინაშე მეთორმეტე ხუთწლედისა და მომავალი პერიოდისათვის დასახული დიდი ამოცანები. უკვე დღეს საკონტეინერო ტვირთზიდვით საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო 400 საწარმოს, 30 სამინისტროსა და უწყებას ემსახურება. 1980 წელთან შედარებით კონტეინერებით გადაზიდვის მოცულობა ორჯერ და მეტად გაიზარდა. სწორედ მუშაობის ეს მეთოდი იქნება სამინისტროს ერთ-ერთი დასაყრდენი მეთორმეტე ხუთწლედში.

ხორციელდება ღონისძიებათა კომპლექსი იმისათვის, რომ სრულიად გავათავისუფლოთ რკინიგზა შიდარესპუბლიკური ტვირთზიდვისაგან. ამ მიზნით ვაფართოებთ ავტოკონტეინერების მოედანთა ქსელს, იზრდება უნივერსალური ავტოკონტეინერების პ ა რ კ ი, მწყობრში ჩადგა ავტოკონტეინერებით ზიდვის აღრიცხვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემა. მომავალი წლის დამლევისათვის, მთლიანად ვიკისრებთ შიდარესპუბლიკურ ტვირთზიდვას.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს სამშენებლო ობიექტებისა და უპირველესად საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მასალებით შეუფერხებელი მომარაგებისათვის. საამისოდ ხორციელდება ღონისძიებათა დიდი კომპლექსი.

შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას კვლავაც ტექნიკური დონის ამაღლებით მივაღწევთ, მარტო შარშან ცამეტი მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის დანერგვით სამ მილიონ მანეთზე მეტი დაიზოგა. მიზანდასახულად მიმდინარეობს ხელის შრომის მექანიზაცია-ავტომატიზაცია. მოკლე ხანში მექანიზებულია 560 საამწყობო, სამონტაჟო და სარემონტო პუნქტი. შეიქმნა 15 სადიაგნოსტიკო საგუშაგო, დაინერგა საამწეო-სატრანსპორტო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული 463 ავტომატიზებული მოწყობილობა, ავტომობილებ ი ს, დეტალებისა და აგრეგატების მექანიზებული რეცხვის 42 დანადგარი. ახლა სამინისტროს სისტემაში მექანიზმების დახმარებით აქ მომუშავეთა 78 პროცენტი შრომობს, მარტო 4 წელიწადში მექანიზაცია-ავტომატიზაციამ პირობითად 1000 კაცი გამოათავისუფლა, რის შედეგადაც 1352 ათასი მანეთი დაიზოგა.

ძირითადი მიმართულებებ ი ს პროექტში ნათქვამია, რომ 1990 წლისათვის 1985 წელთან შედარებით 18-20 პროცენტით მეტი ბენზინი და დიზელის სათბობი უნდა დაიზოგოს, მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს გაზის ბალონებიანი ავტომობილების გამოყენება.

ამ მხრივ სამინისტროს საწარმოებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში 56 ათასი ტონა ბენზინი და 11 ათასი ტონა სადიზელე სათბობი დავზოგეთ. ბენზინის ასეთ ეკონომიას სატვირთო და სამგზავრო ავტომობილებზე სადიზელო სათბობისა და გაზის გამოყენებით მივაღწიეთ.

მეთორმეტე ხუთწლედში მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულება სწორედ მომჭირნეობას დაეფუძნება. ძირითადი და დამხმარე მასალების რაციონალური გამოყენებით დანახარჯები ერთ მანეთ შემოსავალზე სამი პროცენტით შემცირდება, საწვავის ხვედრითი ხარჯი — ცხრამეტი პროცენტით, ელექტროენერგიისა — თორმეტი პროცენტით, ხოლო თბოენერგიისა — თერთმეტი პროცენტით, რაც საკონტროლო ციფრებს აღემატება. ცხადია, მნიშვნელოვნად მეტი ყურადღება დაეთმობა ავტომატიზებული სისტემის შემუშავება-დანერგვას.

როგორც ძირითად მიმართულებათა პროექტშია აღნიშნული, ტრანსპორტის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, უპირველესად, საჭიროა უზრუნველვყოთ ქვეყნის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შეთანხმებული განვითარება, მისი ურთიერთმოქმედება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან, სრულვყოთ ყველა სახეობის ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაცია, აღმოვფხვრათ არარაციონალური ტვირთზიდვა.

ეს მომენტი ყოველთვის იყო სამინისტროს ყურადღების ცენტრში, სწორედ ეფექტიანობის გადიდებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედების, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით დავიწყეთ, პირველად ქვეყანაში, საუწყებო ავტოტრანსპორტის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში გაერთიანებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტი: მისი პირველი შედეგები მეტად დამაჯერებელია.

მიმდინარე ხუთწლედში შესამჩნევად გაიზარდა მგზავრთა გადაყვანა. სამგზავრო ავტოტრანსპორტი ახლა ყოველდღიურად 280 საქალაქო, 1030 საგარეუბნო და 570 საქალაქთაშორისო მარშრუტს ემსახურება. მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სამეურნეოანგარიშიან ბრიგადებს „იკარუსის" ავტობუსებით თბილისის მჭიდროდ დასახლებული რაიონებიდან მეტროპოლიტენის სადგურამდე გადაჰყავთ მგზავრები და კარგ შედეგებსაც აღწევენ, ახლა სამეურნეო ანგარიშზე უკვე მთელი ავტოსატრანსპორტო საწარმო მუშაობს. გამოანგარიშებულია: მთელი საქალაქო ტრანსპორტის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა მკვეთრად გააუმჯობესებს მგზავრთა მომსახურებას, 7,5 მილიონი მანეთით გაზრდის მოგებას, ეკონომიკური ეფექტი 2.7 მილიონ მანეთს მიაღწევს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო იმ ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებასთან ერთად, რომლებმაც ეკონომიკური ექსპერიმენტების განხორციელებაში წარმატებებს მიაღწიეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მომავალი წლის 1 იანვრიდან მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადადის. ახლებურად მუშაობის პირობების თანახმად, ფართოვდება ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა უფლებანი, ამით გზა ეხსნება სამეურნეო საქმიანობის, დაგეგმვის, მატერიალური სტიმულირების მეთოდების სრულყოფას, ამის საფუძველზე პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და შრომითი კოლექტივების დაინტერესებას საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად.

ახლა სამინისტროს შრომით კოლექტივში ყველაფერი კეთდება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. მიმდინარე წლის გეგმას ვადამდე შევასრულებთ და გეგმის გადამეტებით 4 მილიონ მგზავრს გადავიყვანთ და 1,2 მილიონ ტვირთს გადავზიდავთ.

სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა, როგორც უკვე აღინიშნა, მეთორმეტე ხუთწლედისათვის უკვე იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი. გადაწყვეტილია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენების, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გააქტიურების, დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების საფუძველზე გეგმის გადამეტებით გადავიყვანთ 10 მილიონ მგზავრს და გადავზიდავთ 7 მილიონ ტონა ტვირთს. გამოვუშვებთ მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას. მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებას 15 დეკემბრისათვის შევასრულებთ.

შ. ამაშუკელი.

ვმუშაობთ სტახანოვურად

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტით ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელ მრეწველობას დიდი ამოცანები დაესახა. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ავეჯის წარმოება და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, ასორტიმენტი.

ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი, რომელშიც მე ვმუშაობ, მზად არის ახალი ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენი საწარმო მოწინავეთა რიგებშია, გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით მხოლოდ გადაჭარბებით სრულდება. საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში 66,6 პროცენტს მიაღწია. შარშანდელთან შედარებით წარმოების მოცულობა 11,2 პროცენტით გაიზარდა. ეს ციფრები ასობით ადამიანის თავდადებული შრომის დასტურია.

მეამაყება, რომ საერთო წარმატებებში დიდია ჩემი ბრიგადის წვლილი. ჩვენ მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ — სამზარეულო გარნიტურებმა „მიღიმ" და „აჭარამ" მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი. იგი მოსწონს მომხმარებელს, ამიტომაც არ არის ჩაწოლილი მაღაზიებში. სიამაყე გეუფლება, როცა ხედავ, რომ შენს პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა. ჩვენი მოვალეობა ღრმად გვაქვს შეგნებული, მეათე ხუთწლედში ჩემი ბრიგადა უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის 72 პროცენტს უშვებდა, ახლა ყველა ნახელავს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით ვამზადებთ. ბრიგადის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ ყოველი მუშის შრომითმა ანაზღაურებამ 250-300 მანეთს მიაღწია.

ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა. ბრიგადა გადავიდა ახალ საამქროში, სადაც უკეთესი შრომის პირობებია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. დაიდგა ახალი მანქანები, რამაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

30 წელია კომბინატში ვმუშაობ. ძალას მმატებს ისეთი მუშების თანადგომა, რომლებიც თავდადებით შრომობენ და ჩემთან ერთად საჭირო საქმეს აკეთებენ. ბრიგადაში არ გვყავს ჩამორჩენილი, ყველა მოწინავეა, თუმცა იმასაც უნდა გავუსვა ხაზი, რომ რ. კაკაბაძე, გ. გულუა, კ. მაკირტუმიანი და სხვები მოწინავეთა შორის მოწინავენი არიან. ისინი შესანიშნავი დამრიგებლები გახდნენ, ახალბედებს პროფესიის სიყვარულს უნერგავენ, ცხოვრებისეულ გაკვეთილებს უტარებენ.

გადავწყვიტეთ მეთორმეტე ხუთწლედში ავეჯის წარმოება გავზარდოთ 50 პროცენტით, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, ამასთან, მომავალ ხუთწლედში ჩვენც მოვითხოვთ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, კომუნალური მომსახურების ზუსტ მუშაობას, ხელის შრომის მინიმუმამდე შემცირებას. საამისოდ ბევრი რამ დაიგეგმა და უთუოდ უნდა შესრულდეს. ღირსეულად, ახალი მიღწევებით შევხვდებით სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

რ. ბურძგლა,
ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის ბრიგადირი.

შევქმნათ ერთიანი საძიებო ორგანიზაცია

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის IX თავში აღნიშნულია, რომ უნდა განვითარდეს საპროექტო-საძიებო ორგანიზაციების სპეციალიზაცია.

მშენებლობა, როგორც სახალხო მეურნეობის დარგი, შეიძლება დაიყოს სამ დამოუკიდებელ წრილად: საინჟინრო ძიება, მშენებლობის პროექტირება და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

საინჟინრო-საძიებო სამუშაოები გახლავთ კომპლექსური საწარმოო პროცესი, რომელიც აუცილებელი ძირითადი წყაროა პროექტირებისათვის. არც ერთი პროექტი არ შეიძლება დამუშავდეს ხარისხიანად საძიებო სამუშაოების მასალების გარეშე. ამაზეა დამოკიდებული ნაგებობის როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიკური ღირებულება.

საქართველოში არსებობს მრავალი საპროექტო ინსტიტუტი, რომლებსაც თავიანთი საინჟინრო-საძიებო განყოფილებები აქვთ. ეს განყოფილებები არ არიან დაკომპლექტებული საჭირო კვალიფიციური სპეციალისტებით, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. ზოგიერთი საპროექტო ინსტიტუტის საძიებო განყოფილებას აკლია ხელსაწყო-იარაღები, საბურღი მანქანები, დანადგარ ე ბი. ამასთან მრავალი საპროექტო კანტორა ახერხებს ასეთი მანქანების მიღებას და ისინი სამუშაოთა მოცულობის სიმცირის გამო დაუტვირთავი არიან. კანტორებს ეკრძალებათ საძიებო სამუშაოთა შესრულება, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ სრულდება ეს. არ არის კოორდინირებული საძიებო სამუშაოების წარმოება, ამიტომ ხშირად ერთი და იმავე ტერიტორიის ძიება ორჯერ და მეტადაც ხდება ხოლმე.

ვფიქრობთ, უკვე მომწიფდა ნიადაგი იმისათვის, **რომ საქართველოს საპროექტო ინსტიტუტების საძიებო განყოფილებათა შეერთებით შეიქმნას ერთიანი საინჟინრო-საძიებო ორგანიზაცია, რომელიც შევიდოდა საქართველოს სახმშენის სისტემაში და თავს მოუყრიდა ყველა იმ სამუშაოს, რომლებიც დაქუცმაცებულად სრულდება. საჭიროა მოხდეს წარმოების სპეციალიზაცია, რომელიც სამუშაოების უმაღლეს დონეზე შესრულების გარანტიას იძლევა.**

სხვათა შორის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საინჟინრო-საძიებო სამუშაოების ერთიანი სამსახურის შექმნის თაობაზე ჯერ კიდევ 1959 წლის თებერვალში მიიღო დადგენილება. 60-იან წლებში შესაბამისი ინსტიტუტები თუ საინჟინრო-საძიებო ტრესტ ე ბ ი მრავალ რესპუბლიკაში შეიქმნა, მაგრამ ჩვენთან ეს დღემდე ვერ მოხერხდა.

დროა დაისვას და გადაწყდეს **საკითხი საქართველოში საინჟინრო-საძიებო ტრესტის შექმნის თაობაზე, რომელიც დიდ როლს შეასრულებს სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების მაღალკვალიფიციურად გადაწყვეტაში.**

გ. ლემონჯავა,
„საქსახპროექტის" საძიებო განყოფილების უფროსი.

სასკოლო

რეფორმა

მოქმედებს

ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა—კლასში



საინტერესოდ მიმდინარეობს ცხინვალის № 6 საშუალო სკოლის უფროსკლასელთა პრაქტიკული მეცადინეობა ინფორმატიკასა და ელექტრონულ-გამოთვლით ტექნიკაში. მოსწავლეთა განკარგულებაშია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოს იმ გამოთვლითი ცენტრის მცირე და საშუალო კლასების კომპიუტერები, რომლის ბაზაზე მიმდინარეობს მოსწავლეთა სწავლება.

სურათებზე: № 6 საშუალო სკოლის მეცხრე კლასში პრაქტიკულ მეცადინეობას ინფორმატიკასა და ელექტრონულ-გამოთვლითს ტექნიკაში ატარებს მასწავლებელი ვიაჩესლავ თედეევი; წარმატებით ითვისებენ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მუშაობას მეცხრეკლასელები ფატიმა დიაკონაშვილი და ინგა კაბისოვა.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

საიმედოდ გადავუკეტოთ გზა ლოთობასა და ალკოჰოლიზმს

თბილისში გაიმართა სიფხიზლისათვის ბრძოლის საქალაქო ნებაყოფლობითი საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა ორასამდე დელეგატი და პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკი. კონფერენცია გახსნა ლენინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ს. ხეჩინაშვილმა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს მხარი დაუჭირეს ქალაქის შრომითმა კოლექტივებმა, ახალგაზრდობამ და საზოგადოებრიობამ. თბილისის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხორციელდება ლოთობისადმი შეუწყნარებლობის ვითარების შექმნის, ანტიალკოჰოლური პროპაგანდის გაძლიერების ღონისძიებანი. მაგრამ, როგორც თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ეჯიბაძემ, პარტიის საქარხნო რაიკომის მდივანმა ი. ბოროდულინმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ნანეიშვილმა, სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თ. ხელაშვილმა და სხვებმა, ამ ბოროტების აღმოფხვრა მოითხოვს ფხიზელი ცხოვრების წესისათვის მეცადინეობის უფრო მეტად გააქტიურებას. კერძოდ, ეს ეხება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული კომპლექსების, ახალგაზრდული კლუბების ქსელის გაფართოებას. საჭიროა აგრეთვე მეტი ყურადღება დაეთმოს მოუწესრიგებელ ოჯახებს, სადაც მშობლები სვამენ, მოგვარდეს სპირტიანი სასმელების ვაჭრობა, უფრო მკაცრი კონტროლი დაუწესდეს მას და ა. შ.

კონფერენციამ აირჩია საზოგადოების საბჭო და სარევიზიო კომისია. სიფხიზლისათვის ბრძოლის საქალაქო ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ო. ეჯიბაძე, მოადგილედ — ბ. ნანეიშვილი, პასუხისმგებელ მდივნად — საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი პ. ასლანიდი. (საქინფორმი).

ექსპრესინფორმაცია

დ ა ნ ი შ ვ ნ ა

მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა არჩილ ვლადიმერის ძე ასათიანი. ამ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან აქვე განაგრძო სწავლა ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრასთან არსებულ ასპირანტურაში. შემდეგ მუშაობდა ასისტენტად და ახლაც ამ კათედრის პროფესორია. 1975 წლიდან ა. ასათიანი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორია. 1979 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

— პატივცემულო არჩილ, თქვენ ახალი რექტორი ბრძანდებით, მაგრამ ამ კედლებში ახალი კაცი არ გეთქმით. რაც უნდა იყოს, თქვენი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წელიწადზე მეტი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტთან არის დაკავშირებული...

— ჭეშმარიტებას არ შევცოდავ, თუ ამ უმაღლეს სასწავლებელს ჩემს „ალმა მატერს" ვუწოდებ. აქ ჩამოვყალიბდი როგორც მეცნიერი, როგორც მოქალაქე— რამდენიმე წლის მანძილზე ვიყავი ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრი, აქ მიმიღეს სკკპ რიგებში.

— საყრილობო პარტიულ დოკუმენტებში უმთავრესად არის მიჩნეული ადამიანისათვის ზრუნვა. იგი გულისხმობს სამედიცინო მომსახურების სრულყოფას და, მაშასადამე, კვალიფიციურ ექიმთა კადრების მომზადების გაუმჯობესებასაც. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი მართლაც ფრიად გასაუმჯობესებელია...

— სწორი ბრძანებაა. კანონიერ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ექიმის დიპლომს არცთუ იშვიათად ვაძლევთ ერთობ საშუალო ცოდნის მქონე პირებს. დატოვებს თუ არა სტუდენტის მერხს, უკვე გზავნიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ასეთი რამ ხშირად გვხვდება. რაღაზე დაიხარჯა სწავლის წლები?! ვფიქრობ, მთავარი უბედურება ის არის, რომ ჯეროვნად არ წარმოებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტთა პრაქტიკული მომზადება. ისეც ხდება, რომ კლინიკაში პრაქტიკის გავლის დროს ერთ სტუდენტზე მოდის... 0,5 ავადმყოფი! ამას დაუმატეთ პაციენტის ბუნებრივი სურვილიც, რომ მოხვდეს გამოცდილი, და არა დამწყები სპეციალისტის ხელში. ვხვდებით ისეთ ვაი-პედაგოგებსაც, რომლებიც ყველაფერს თვითონ აკეთებენ სტუდენტის მაგივრად, და ახალგაზრდა ისე დაამთავრებს პრაქტიკას, რომ ერთხელაც არ მოუწევს სკალპელის ხელში დაჭერა. მიზანშეწონილი იქნებოდა ჩამოგვეღო პრაქტიკული მეცადინეობის სპეციალური მატრიკული, სადაც აღინიშნება პრაქტიკული ჩვევებიც, სწავლის დროს რომ შეიძინა სტუდენტმა.

აქ, ბუნებრივია, დგება უმაღლესი სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საჭიროების საკითხი. ვაი რომ, იძულებული ვართ ვაღიაროთ: ინსტიტუტის ლაბორატორიები სათანადოდ ვერ არის აღჭურვილი თანამედროვე აპარატურით. მაგრამ სტუდენტმა უთუოდ უნდა აითვისოს რთული მედტექნიკა, ის კი არა, სახვალიო ტექნიკაც. არადა, ჩვენ ამასთანავე სამეცნიერო დაწესებულებაც ვართ. იმისათვის, რომ დროს ფეხი აუწყო, უნდა უსწრებდე მას...

ჩემი აზრით, უდავოდ საგულისხმოა მეორე წინადადებაც, რომელიც დაგვეხმარება გავაძლიეროთ სტუდენტთა პრაქტიკული მომზადება. როგორც ცნობილია, სრულფასოვანი პრაქტიკის მოწყობას ხშირად უშლის ხელს კადრების მეტისმეტი სიჭარბე ჩვენს სამკურნალო დაწესებულებებში. მაგრამ ქვეყანაში ხომ მრავლად არის ისეთი ადგილი, სადაც არ გვყოფნის ექიმები, მეტადრე ზაფხულობით. კარგი იქნებოდა, სწორედ ასეთ ადგილებში მოგვეწყო პრაქტიკა. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, კიდევ მოსაფიქრებელია...

— სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ყველაზე პოპულარულია აბიტურიენტებს შორის, მიღების პრაქტიკა წლითიწლობით იხვეწება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიახლოებია იდეალს. ამაში გვარწმუნებს წლევანდელი მისაღები გამოცდების ფაქტებიც.

— საკავშირო სამინისტროს ბრძანების თანახმად, წლევანდელი მიღების წესებით გათვალისწინებული იყო შემდეგი: პროფილიანი სტაჟის მქონე პირნი მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღებისას უმაღლეს სასწავლებელში უკონკურსოდ ჩაირიცხებოდნენ. მაგრამ ასეთი აბიტურიენტი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ადგილი. მათ შორის კონკურსი ბრძანებით არ არის ნავარაუდევი, მაგრამ მაინც უნდა გაგვეთვალისწინებინა. ამის შედეგად რამდენიმე ათეული აბიტურიენტი, რომლებსაც სტუდენტობის მიღების უფლება ჰქონდათ, ვერ მოხვდა ინსტიტუტში.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი პირველკურსელის საბუთები, რომლებიც მათს შრომით სტაჟს ადასტურებდა, ყალბი გამოდგა. ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის 16 ასეთი ფაქტი გვქონდა გამოვლენილი. ბუნებრივია, ასეთი სტუდენტები გავრიცხეთ და მათ ადგილებზე მივიღეთ ღირსეულნი. დანარჩენებს, იმათ, ვისაც შესაბამისი მაჩვენებლები აქვს, შევთავაზეთ მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელი განყოფილების კონკურსში. ეს მწვავე სიტუაცია ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი უნდა იყოს. არადა სავარაუდოა, რომ პროფილის სტაჟის მქონე პირთა რიცხვი გაიზრდება, და ასეთი სიტუაციები შეიძლება გამეორდეს...

— ახლანდელი კი, როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის განმავლობაში ხელს უშლიდა უმაღლეს სასწავლებელს მუშაობაში, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია...

— უნდა ვაღიაროთ შეცდომა — ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვა მიმღებმა კომისიამ გააჭიანურა. ზოგიერთ რამეში თანამიმდევრულობა ვერ გამოვიჩინეთ. ბევრ რამეში ამის მიზეზი იყო ზოგიერთი მშობლის მიერ გამოწვეული აურზაური. მათი საქციელი ზოგჯერ არავითარ ნორმას არ ექვემდებარება. იმის ნაცვლად, რომ დაამშვიდონ, მხარში ამოუდგნენ შვილებს, ისინი აქეზებენ მათ, ბრმად ადანაშაულებენ ყველას და ყველაფერს, იმას კი არ უფიქრდებიან, რომ, შესაძლოა, ამის მიზეზი საკუთარი შვილების მოუმზადებლობა იყოს.

იბადება კითხვა: საიდან აქვთ ამდენი თავისუფალი დრო იმისათვის, რომ მრავალი დაწესებულების კართან იყვნენ ატუზულნი, გაემგზავრონ რამდენჯერმე და დიდი ხნით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „სამართლიანობის ასეთი ქომაგნი" ან სულაც არ მუშაობენ ან მეტად ზერელედ ეკიდებიან თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობებს.

ვუბრუნდები რა წარმოქმნილ ვაკანტურ ადგილებზე აბიტურიენტთა ჩარიცხვას, კატეგორიულად ვაცხადებ — ეს არ არის ჩვენი კარის ატალახების შედეგი. შერჩევა ობიექტური იყო. უფლება მიეცათ იმათ, ვისაც ქულათა თანაბარი რაოდენობის დროს ჰქონდა პროფილით უფრო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟი. საჯაროობამ, ობიექტურობამ, პრინციპულობამ ბევრ რამეში დაგვარწმუნა. ეს კი, როგორც ცნობილია, საუკეთესო მეთოდია მითქმა-მოთქმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

—ახალი თანამდებობა— ახალი მოვალეობანი. ისინი კი საკმაოდაა. ალბათ უკვე შეიტანეთ ცვლილებები ჩვეულებრივ დღის განრიგში?

— ჩემი კოლეგა ანტონ ჩეხოვი ამბობდა: რაც უფრო ნაკლები საქმე გაქვს, მით უფრო ნაკლებს ასწრებო. როგორც პრაქტიკა მოწმობს, უკუპრინციპიც მოქმედებს.

ზუსტად ვიცი, კვლევით მუშაობას თავს არ დავანებებ. იგი ეძღვნება შიმშილისა და გაძღომის ფიზიოლოგიის მექანიზმის შესწავლას. თემა აქტუალურია. მადის მიმართული რეგულირება ბევრი მოშლილობის დროს გაცილებით უფრო ეფექტიანად მოქმედებს, ვიდრე წამლები. ექსპერიმენტებისათვის ზრუნვის ნაწილი კათედრის თანამშრომლებს, მოწაფეებს დაეკისრებათ. შემიძლია საკუთარი გამოცდილებიდან გითხრათ: სტუდენტის მერხიდანვე კვლევით მუშაობაში მონაწილეობა მომავალი მედიკოსის პროფესიული მომზადების მნიშვნელოვანი მხარეა.

და კიდევ ერთი უცილობელი ჭეშმარიტება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლისათვის: ადამიანის აღზრდას ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს, ვიდრე მედიკოსის აღზრდას. მოქალაქეობრიობა ხომ ექიმის პროფესიული თვისებაა.

ი. გოლდმანი,
ზ. საფრაზიანი,
(საქინფორმის კორ.).

„ქვეყნად სიცოცხლისათვის"

ა. ტვარდოვსკის ეს ცნობილი სტრიქონი გახდა ლიტერატურის ისტორიკოსთა და თეორეტიკოსთა, მწერალთა ბიჭვინთის შეხვედრის დევიზი. აქ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დ. გულიას სახელობის შემოქმედებითი სახლის სხდომათა დარბაზში მუშაობა დაამთავრა მხატვრულ ლიტერატურაში ომისა და მშვიდობის პრობლემისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო კონფერენციამ. მისი ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირი.

პლენარულ სხდომებზე, „მრგვალ მაგიდასთან" საუბრების დროს საქმე ეხებოდა მშვიდობისათვის ბრძოლაში ლიტერატურის როლსა და მაღალ მისიას, მის დანიშნულებას თანამედროვე ეტაპზე, როცა კაცობრიობას შეექმნა თერმობირთვული კატასტროფის საფრთხე. ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა განიხილეს მრავალსაუკუნოვანი მსოფლიო ლიტერატურის —ძველი და თანამედროვე ლიტერატურის მაგალითზე.

კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ცნობილმა ლიტერატურათმცოდნეებმა, აგრეთვე ახალგაზრდა ფილოლოგებმა.

— ლიტერატურამ უნდა დააჩქაროს იმ აზრის დამკვიდრება, თქვა კონფერენციის გახსნისას საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა ა. დ. ალექსიძემ —რომ ომი შეუთავსებელია დედამიწაზე ადამიანის დანიშნულებასთან, რომ თანამედროვე პირობებში იგი შეუთავსებელია თვით კაცობრიობის არსებობასთან.

როგორია ომისა და მშვიდობის ძალების ბრძოლაში ლიტერატურის როლი, როგორია მისი გავლენა მსოფლიო მოვლენების მიმდინარეობაზე? ეს საკითხები განიხილეს თავიანთ მოხსენებებში პროფესორებმა რ. გორდეზიანმა, ე. ხინთიბიძემ, რ. ყარალაშვილმა, გ. გიგოლოვმა, დოცენტებმა გ. ბუაჩიძემ, ა. ზუხბამ და შეხვედრის სხვა მონაწილეებმა. (საქინფორმი).

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

20 ნოემბერი ● საქდესი იუწყება

მხარს უჭერენ მშვიდობიან თანაარსებობას

ვაშინგტონი. ამერიკელთა ფართო ფენები მიესალმებიან საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრას ჟენევაში. მშვიდობის იდეების მხარდასაჭერად, ბირთვული კატასტროფის საფრთხის საწინააღმდეგოდ მასობრივი მანიფესტაციები მოეწყო ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში, დეტროიტში, ბოსტონსა და სხვა ქალაქებში. ბევრმა გაზეთმა გამოაქვეყნა მიმართვები შეხვედრის მონაწილეებისადმი, რომლებსაც ხელს აწერს ათასობით უბრალო მოქალაქე, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, კონგრესმენები, ქალაქების მერები და მუნიციპალური საბჭოების წევრები. ისინი ხაზს უსვამენ რომ მთავარი პრობლემა, რომელიც გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს, არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, და აცხადებენ, რომ მოელიან კონკრეტულ შედეგებს სწორედ ამ საკითხზე.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, „წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ტ. ონილმა განაცხადა: რეიგანის მთავარი მიზანი ჟენევაში უნდა იყოს გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვა და ბირთვული ომის საფრთხის შემცირება". სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას და თანამშრომლობას ბირთვულ საუკუნეში არა აქვს გონივრული ალტერნატივა, ასე თვლის ამერიკის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელი, კომპანია „კონტინენტალ გრეინის" ვიცე-პრეზიდენტი მ. ლაზერსონი. საბჭოთა ინიციატივები გზას უხსნიან შეიარაღებისადმი კონტროლის თაობაზე შეთანხმების მიღწევას, განაცხადა „მშვიდობისათვის მებრძოლი კალიფორნიელი ქალების" ორგანიზაციის წარმომადგენელმა ე. გრეისმა.

ვისკონსინის უნივერსიტეტის მასწავლებლებისა და სტუდენტების წერილში ამ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციისადმი აღნიშნულია, რომ ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული-თავდაცვითი ინიციატივა" წარმოადგენს მადესტაბილიზებელ ფაქტორს, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს გამალებული შეიარაღებისადმი კონტროლის დასამყარებლად გამიზნულ ძალისხმევას, ძირს გამოუთხრის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის შესახებ. თეთრი სახლის მიერ დასახული კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმების რეალიზაცია, ნათქვამია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის თანამშრომელთა გაერთიანებული ასოციაციის რეზოლუციაში, საეჭვოს გახდის მომავალში გამალებული შეიარაღების ალაგმვის შეთანხმებათა მიღწევის შესაძლებლობას.

მთელი მსოფლიო იმედოვნებს, რომ ჟენევაში გაიმართება უდიდესი პასუხისმგებლობით ნაკარნახები და უთანხმოების დაძლევისა და ურთიერთგაგების დამყარების სურვილით გამსჭვალული კონსტრუქციული დიალოგი. ეს ნათქვამია ამერიკის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციისა და სსრ კავშირის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ მიმართვაში ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებისადმი. დოკუმენტი მათ მოუწოდებს მიაღწიონ უმაღლესი დონის შეხვედრაზე მორიგებას იმის შესახებ, რომ შემოწმების შესაძლებლობის პირობებში შეწყდეს ბირთვული იარაღის შემუშავება, გამოცდა, წარმოება და შემდგომი დაგროვება, რასაც მოჰყვება ბირთვული არსენალების შეთანხმებული შემცირება და სრული მოსპობა. ამის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები შეიძლება მოხმარდეს სიღატაკის, შიმშილის, ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლას, სხვა სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ამავე დროს, როგორც ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის" დასავლეთევროპელი კორესპონდენტები იტყობინებიან, აქაური ატმოსფერო შეშფოთებით არის გამსჭვალული. როგორც ჟურნალის მიერ გამოქვეყნებული მასალები ცხადყოფს, ამ განწყობილებას ადმინისტრაციის ახლანდელი სამხედრო კურსი წარმოშობს. თუ „ვარსკვლავეთის ომების" გამო გაჭიანურდა აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციის პერიოდი, წერს „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ-უორლდ რიპორტი", ეს რეიგანის ადმინისტრაციას დაბრალდება. ყოველგვარი მინიშნება იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს გამოცდის მოწყობას ისეთი პროგრამების ფარგლებში, როგორიცაა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, გულისწყრომის აფეთქებას გამოიწვევს ნატოში. დასავლეთევროპელებისათვის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება კვლავაც რჩება გამალებული შეიარაღების მადესტაბილიზებელი ზეგავლენისაგან დაცვის ძირითად გარანტიად. დასავლეთევროპელთა აზრით, აღნიშნულია შემდეგ, არ შეიძლება იმის დაშვება, რომ კამათმა ადამიანის უფლებებისა და რეგიონალური საკითხების თაობაზე ხელი შეუშალოს შეთანხმების დადებას შეიარაღებისადმი კონტროლის უფრო მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ოტავა. კანადის მთავრობას მიაჩნია, რომ შეიარაღებისადმი კონტროლის პრობლემის განხილვა ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს, განაცხადა კანადის პრემიერ-მინისტრმა ბ. მალრუნიმ თემთა პალატაში. მან თქვა, რომ ეს თვალსაზრისი გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს. თავის მხრივ პარლამენტის წევრმა ლ. ჰოპკინსმა განაცხადა რომ „ჟენევის შეხვედრის დროს შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხის განხილვა წინ უნდა უძღოდეს „ყოველ სხვა საკითხზე" მსჯელობას.

სოციალიზმის ქვეყნებში

ბულგარეთი

კოოპერატორთა დასახმარებლად

სოფია. 12 ცხენისძალიანი მცირე ზომის დიზელის ძრავების პირველი საცდელი სერია გამოუშვა ვრაჩანის სამეცნიერო-სამრეწველო საწარმომ „ტეხმეტმა".

ეს ძრავები შეიმუშავეს ვარნელმა ინჟინრებმა და განკუთვნილია კოოპერატორთა პირად მეურნეობებში გამოსაყენებლად. კერძოდ, ასეთი ძრავა წარმატებით შეიძლება დაიდგას მინი-ტრაქტორზე ან სხვა ნიადაგდასამუშავებელ მანქანაზე, აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ელექტროგენერატორში, წყლის ტუმბოში და ა. შ.

ვარნელ ინჟინერთა კოლექტივი ახლა მუშაობს პირად მეურნეობებში შრომის მექანიზაციისათვის ახალი მოდიფიკაციის დიზელის ძრავის შესაქმნელად.

გ დ რ

მეტალურგების დაზოგვისათვის

ბერლინი. მაღალხარისხოვანი მეტალურგიული მოწყობილობის წარმოება ენერგიისა და ნედლეულის უმცირესი დანახარჯებით ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომელსაც წარმატებით წყვეტენ მაგდებურგის ე. ტელმანის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის კომბინატის სპეციალისტები.

ამ საწარმოს პროდუქციას, რომელიც „სკეტის" მარკით გამოდის, მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში როდი იცნობენ. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში მრავალი მეტალურგიული საწარმო აღჭურვილია მისი საგლინი დგანებით, მძლავრი სამჭედლო წნეხებით.

საწარმოს კოლექტივი გულმოდგინედ მუშაობს საწარმოო პროგრამის გაფართოების, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დიდ შრომის ნაყოფიერებასა და ექსპლუატაციის დროს საიმედოობას უზრუნველყოფენ მიკროკომპიუტერები, რომლებიც აკონტროლებენ სხვადასხვა აგრეგატების მუშაობას.

ამჟამად მოლდავეთის ქალაქ რიბნიცაში მთავრდება საგლინი დგანის გამოცდა, რომელიც სსრ კავშირის შეკვეთით დამზადებული უკვე ოცდამეთე აგრეგატია. „სკეტის" მარკიანი მოწყობილობა საშუალებას მისცემს მოლდაველ მეტალურგებს ყოველწლიურად 40 ათასი ტონა ფოლადის ნაგლინი გამოუშვან. სკკპ XXVII ყრილობის წინ მაგდებურგელმა მანქანათმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს 1985-1987 წლებში გამოგზავნონ საბჭოთა კავშირში ფოლადის საგლინი მოწყობილობის ახალი პარტია.

იუგოსლავია

თანამშრომლობის ახალი ფურცელი

ბელგრადი. იუგოსლავიის გემთმშენებლებმა 1981-85 წლებში სსრ კავშირში გამოგზავნეს დაახლოებით 100 სხვადასხვა გემი — სამგზავრო ლაინერები, საზღვაო ტანკერები, ბორნები. მათი საერთო ღირებულება დაახლოებით მილიარდ დოლარს შეადგენს.

იუგოსლავი და საბჭოთა გემთმშენებლების თანამშრომლობაში ახალი ფურცელი ჩაწერა ქალაქ ნოვი-სადის სამდინარო გემთმშენის კოლექტივმა. ვოევოდინის მთავარი ქალაქის გემთმშენებლებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დიდ შეკვეთას ასრულებენ, წყალში ჩაუშვეს ბოსტნეულისა და ხილის გადასაზიდი მეთაური რეფრიჟერატორი. საბჭოთა სამდინარო მაგისტრალებისათვის ასეთი ტიპის გემები შენდება აგრეთვე ბელგრადსა და ზრენიანინში.

მსხვილსერიული საბჭოთა კავშირის შეკვეთები იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში გემთმშენებლობის სტაბილური განვითარების საფუძველია. ასე აფასებენ ორი ქვეყნის ურთიერთობას ამ დარგში გაერთიანება „დუნავბროდის" წარმომადგენლები.

ფოტოინფორმაცია



„საბჭოთა კავშირვიეტნამის მეგობრობის ობიექტი" — ასეთ წარწერიან აბრებს ხშირად შეხვდებით ვიეტნამის სხვადასხვა რაიონში. საბჭოთა ქვეყნის დახმარებით აქ აღდგენილი, აგებული და რეკონსტრუირებულია 200-ზე მეტი სახალხო-სამეურნეო ობიექტი.

ფალაის თბოელექტროსადგური ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთი საწარმოა. ამოქმედდა პირველი ორი ენერგობლოკი. მიმდინარეობს ახალი აგრეგატების მონტაჟი. (სურათზე).

ჩეხოსლოვაკია

თანამედროვე საფუძველზე

პრაღა. ელექტრონიკა და მიკროელექტრონიკა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მატერიალურტექნიკური ბაზის თვისებრივი გარდაქმნის საფუძველია. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის მიზანი და შესრულების ვადები გათვალისწინებულია ქვეყანაში მიღებულ ეკონომიკის ელექტრონიზაციის გრძელვადიან კომპლექსურ პროგრამაში.

ელექტრონული ტექნიკისა და ავტომატიკის დახმარებით მომდევნო ხუთწლედში ნავარაუდევია მნიშვნელოვნად გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, 10 პროცენტით გაადიდონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, დაზოგონ მასალებისა და ელექტროენერგიის 20 პროცენტი. დიდი ყურადღება ეთმობა ელექტრონიკის გამოყენებას ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გადიდებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის ელექტრონიზაციის მასშტაბური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ფართო მონაწილეობით, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებით, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა მილან კუბატმა. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირთან თანამოქმედებას. დარგი დაკავშირებულია პარტნიორებთან სოციალისტურ ქვეყნებში 36 მრავალმხრივი ხელშეკრულებით წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შესახებ. ეს ეხება გამოთვლითი ტექნიკის, კავშირგაბმულობის საშუალებების, მიკროელექტრონული სქემების, ფერადი ტელევიზორების შემუშავებასა და გამოშვებას. დღეისათვის ჩეხოსლოვაკიის ელექტროტექნიკური პროდუქციის ექსპორტის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს სპეციალიზაციის საფუძველზე შექმნილი ნაწარმი.

◆ გრენადა

დასავლელი „ექსპერტების" კარნახით

ჰავანა. გრენადის პრემიერ-მინისტრმა ბლეიზმა გამოაცხადა თავისი ადმინისტრაციის ის გეგმები, რომ კერძო კაპიტალს გადასცეს მორის ბიშოპის რევოლუციური მთავრობის დროს ნაციონალიზებული ქვეყნის სახელმწიფო საწარმოები. მან თქვა, რომ უკვე უახლოეს დროს კერძო მფლობელების ხელში გადავა 28-დან 18 სახელმწიფო კომპანია.

ბლეიზმა, რომელიც ვაშინგტონმა გრენადის პრემიერ-მინისტრი გახადა, აშკარად განაცხადა, რომ კუნძულის სახელმწიფო სექტორის საჯაროდ გაყიდვის იდეა ეკუთვნით დასავლელ „ექსპერტებს", რომლებმაც „შეისწავლეს" გრენადის ეკონომიკის მდგომარეობა და გამოიტანეს დასკვნა, რომ სახელმწიფო სექტორი „არაეფექტიანია".

ახალი გრენადის საწინააღმდეგო აქციის არსი ზედმიწევნით ნათელია. ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები, რომლებმაც გათელეს გრენადელთა დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება, ისწრაფვიან ეკონომიკურად დაიმონონ გრენადელები. ქვეყანაში ამერიკის კაპიტალის გაბატონება გრენადის ხალხს ახალ გაჭირვებას უქადის. ამის დადასტურებაა ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყნების ბედი, რომლებიც „თავისუფალი მეწარმეობის" უღელქვეშ აღმოჩნდნენ.

● ნიკარაგუა

დევნიან კონტრრევოლუციონერთა ბანდებს

მანაგუა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულთა შეიარაღებულმა ბანდებმა გააქტიურეს ტერორისტული გამოხდომები ნიკარაგუის ჩრდილოეთ რაიონებში.

როგორც რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, 16 ნოემბერს სომოსელებმა იერიში მიიტანეს ხინოტეგის დეპარტამენტის დასახლებულ პუნქტებზე პანტასმასა და ლას-პრადერასზე. ნაღმსატყორცნების ცეცხლის დაშენის შედეგად დაჭრილია დაბების ექვსი მცხოვრები, მათ შორის ოთხი ბავშვი. პანტასმისა და ლას-პრადერასის სახალხო მილიციის ნებაყოფლობითმა რაზმებმა დაქირავებულთა ჰარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში არ დაუშვეს, რომ მათ ხელთ ეგდოთ დასახლებული პუნქტები. ახლა სანდინისტური სახალხო არმიის ქვეგანაყოფები დევნიან კონტრრევოლუციონერთა ბანდებს.

შეერთებულმა შტატებმა, რომელიც ამაოდ ცდილობს ჩაახშოს სანდინისტური სახალხო რევოლუცია, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულ ტერორისტებს ბოლო ოთხ წელიწადში გადასცა ბევრად მეტი იარაღი და ფინანსური სახსრები, ვიდრე სომოსას დიქტატურას მისი არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე, წერს ნიკარაგუის გაზეთი „ბარიკადა ინტერნასიონალი".

მეხიკო. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა თომას ბორხემ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული კურსი ნიკარაგუის მიმართ. მექსიკის გაზეთ „ექსელსიორისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ვაშინგტონის თავხედური ულტიმატუმი, რომელშიც იგი ნიკარაგუისაგან ეროვნული ასამბლეის დათხოვნასა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულებთან მოლაპარაკების დაწყებას მოითხოვს, უხეში ჩარევაა სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

ფოტოფაქტი

● დანია

„დემოკრატია" მოქმედებს

ეს სურათი, რომელიც ამას წინათ კოპენჰაგენში დანიელ მშრომელთა ერთ-ერთი მასობრივი გამოსვლის დროს არის გადაღებული, თვალნათლივ მოწმობს ბურჟუაზიული „დემოკრატიის" ნამდვილ არსს. მეტწილად სწორედ ასე მთავრდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებთა ცდა ისარგებლონ „სიტყვის თავისუფლებით", მიტინგებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობის უფლებით.

თუმცა ეს „წესრიგის გუშაგებთან" „ურთიერთობის" საკმაოდ იოლი ვარიანტია. იმ შემთხვევაში, როცა ამგვარი „გაკვეთილი" სასურველ შედეგს არ იძლევა, არსებობს „დემოკრატიული ზემოქმედების" სხვა იარაღიც: სპეციალურად დაგეშილი ძაღლები, ხელბორკილები, ჯავშნიანი ავტომანქანები, რომ არაფერი ვთქვათ პოლიციურ ხელკეტებზე.

◆ საბერძნეთი

გაიხსნა ვ. ი. ლენინის ბიუსტი

ათენი. აქ საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ, საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ბიუსტი. ცერემონიაში მონაწილეობდნენ საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხ. ფლორაკისი, პარტიის სხვა ხელმძღვანელები და [illegible] საბერძნეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ბერძენი არქიტექტორის მ. მაკრისის პროექტით შექმნილი ძეგლის გახსნაზე გამოსვლისას საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ნ. კალუდისმა თქვა: „საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ დადგმული დიდი ლენინის სკულპტურული პორტრეტი განასახიერებს ჩვენს ბრძოლას ახალი საბერძნეთისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის". ცნობილმა პოეტმა ტ. კონდოსმა წაიკითხა პოემა „ლენინი", რომელიც ამ დღისათვის შეუთხზავს. შემდეგ საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში უჩვენეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კინოფილმები.

◆ სირია-სსრ კავშირი

მადლობა მხარდაჭერისა და დახმარებისათვის

დამასკო. ყველა არაბი ხალხის მისწრაფებებს შეესაბამება საბჭოთა კავშირის პრინციპული და თანამიმდევრული კურსი, რომელიც ითვალისწინებს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას იმ საფუძველზე, რომ გაიყვანონ ისრაელის ჯარები მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან და უზრუნველყონ პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებები, განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბრისას არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ს. კადამმა.

საბჭოთა კავშირმა, თქვა მან, დასახა მტკიცე და ყოვლისმომცველი მშვიდობის მიღწევის კონკრეტული გზა — ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით ახლო აღმოსავლეთის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა.

დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სსრ კავშირის მხარდაჭერა არაბი ხალხების სამართლიანი ბრძოლისადმი, რომელსაც ისინი ეწევიან ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტური ჩარევის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ თავს მოახვიონ არაბულ ქვეყნებს უთანასწორო კაპიტულანტური გარიგებანი, თქვა შემდეგ ს. კადამმა.

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ აღნიშნა, რომ წარმატებით ვითარდება სირია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები

მნიშვნელოვანი წვლილი მეგობრობის განმტკიცებაში

ბაღდადი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. გ. ვარძელაშვილის მეთაურობით წარმოგზავნილი საბჭოთა დელეგაციის ერაყში ყოფნამ, ერაყის ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებრიობასთან მისმა შეხვედრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრული კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში — ასეთია აქ დამთავრებული ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეების ყველა მონაწილის ერთსულოვანი აზრი.

ბაღდადში, თიკრიტში, მოსულში, სამარსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში გამართულ კრებებზე, მიტინგებზე, კონცერტებზე, გამოფენებზე, მეგობრულ შეხვედრებზე ერაყელებმა ბევრი რამ ახალი შეიტყვეს საბჭოთა ხალხის ცხოვრების შესახებ, გაეცნენ საბჭოთა საქართველოს ისტორიასა და კულტურას, მისი ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების აყვავებას სსრ კავშირის თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა ოჯახში.

განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობთა ჯგუფს, ქართულმა ხალხურმა ცეცხლოვანმა ცეკვებმა, მათმა პლასტიკამ და გამომსახველობამ, სიმღერების მელოდიურობამ და მრავალხმოვანებამ ყველგან მოხიბლეს ერაყელი მაყურებლები. სადაც უნდა გამოსულიყვნენ ქართველი მსახიობები, მათ ოსტატობას მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ, დაჟინებით სთხოვდნენ გაემეორებინათ ის ნომრები, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონათ.

საბჭოთა დელეგაცია იყო მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, გაეცნო ერაყის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას, კულტურასა და ისტორიულ მემკვიდრეობას. შთამბეჭდავი იყო ქალაქ მოსულის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა. პატარა მასპინძლებმა სტუმრებს აჩვენეს არა მარტო ქორეოგრაფიული ნომრები, არამედ რუსულ ენაზე შეასრულეს სიმღერები.

ხ. ფლორაკისის განცხადება

ათენი. მშვიდობისა და ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლა საბერძნეთში განუყრელად არის დაკავშირებული ქვეყნის ტერიტორიიდან ამერიკული ბაზებისა და ბირთვული იარაღის გადატანისათვის ბრძოლასთან. ეს განაცხადა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხ. ფლორაკისმა „ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წინააღმდეგ მებრძოლი ექიმების სრულიად საბერძნეთის საზოგადოების" დელეგაციასთან შეხვედრაზე.

მან აღნიშნა, რომ კავშირის საქმიანობა, რომელიც განმარტავს, თუ რა საზარელ შედეგებს მოიტანს ბირთვული ომი, ხელს უწყობს მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის ძალების იმ მეცადინეობის მობილიზაციას, რომლის მიზანია გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვა.

◆ ჩინეთი

ეწვივნენ საბჭოთა პავილიონს

პეკინი. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლი სიანნიანი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ვან ლი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ტიან ძიუნი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი ჩენ მუხუა, აგრეთვე სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის მთელი რიგი წევრები ეწვივნენ საბჭოთა პავილიონს აქ მიმდინარე აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების საერთაშორისო ბაზრობაზე.

ჩინეთის ხელმძღვანელებმა სსრ კავშირის პეკინელი ელჩის ი. ს. შჩერბაკოვის თანხლებით დაათვალიერეს პავილიონის ექსპონატები. ლი სიანნიანმა და ვან ლიმ ჩანაწერები დატოვეს საპატიო სტუმართა წიგნში.

ბუნება და სტიქია

ძლიერი ქარიშხალი

ჰავანა. ძლიერი ქარიშხალი დაატყდა თავს კუბის ჩრდილოეთ სანაპიროს. მან საკმაო ზარალი მიაყენა ქვეყანას. ქარი ძირფესვიანად გლეჯდა საუკუნოვან ხეებს, სახლების თუნუქის სახურავებს, ამსხვრევდა მინებს. დროებით დახურულია ხოსე მარტის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. ჰავანის ზოგიერთ რაიონში შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება.

რესპუბლიკის მთავრობამ წინასწარ გააფრთხილა მოსახლეობა და თადარიგიც დაიჭირა სტიქიური უბედურებისაგან მიყენებული ზარალის შესამცირებლად. ქარიშხლის მოძრაობის სავარაუდო რაიონებიდან წინასწარ გახიზნეს ათიათასობით კუბელი. მარტო დედაქალაქიდან გაიყვანეს 23 ათასი კაცი.

მიწისქვეშა საუკუნეები



საირხე-საქართველოს უძველესი ქალაქი

წარმატებით დაამთავრა სეზონი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც უძველეს ნაქალაქარს სწავლობს საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჯერჯერობით მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოებია ჩატარებული, მაგრამ აქ მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა მეტყველებს, რომ საირხე საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი ყოფილა ძვ. წელთაღრიცხვის VI-I საუკუნეებში.

აქ ჯერ კიდევ სამოციან წლებში გაითხარა შავი და ფერადი ლითონის საწარმოო უბნები, რომელთა სახელოსნოებში დაფიქსირდა ლითონის სადნობით ქურის ნაშთები და ტიგელები, რის მიხედვითაც სრულიად დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საირხე ძვ. წ. პირველ ათასწლეულში ქვეყანას ამარაგებდა ლითონის ნაწარმით, ხოლო ამ ათასწლეულის შუა ხანებიდან, როდესაც ფართო სავაჭრო ურთიერთობა მყარდება იმდროინდელი ცივილიზაციის ქვეყნებთან, აქაურ ლითონის პროდუქციას გარკვეული წილი უნდა სდებოდა საგარეო საალებმიცემო საქმეში, ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის შედეგად შეიძლებოდა მოხვედრილიყო რკინისა და ფოლადის მჭედლებით განთქმული ქვეყნის ქალაქში ის ძვირად ღირებული ნივთები და ფუფუნების საგნები, რომლებიც საირხეშია მოპოვებული და დამზადებულია ათენის ოლქში, ატიკაში, ფინიკიაში, ხმელთაშუა ზღვისპირეთის კუნძულებზე და აქემენიანთა ირანის შორეულ ქვეყნებში.

საირხეში შემთხვევით მიაკვლიეს და შემდეგ გათხრების შედეგადაც აღმოჩნდა უძველესი ტაძრის ფრაგმენტები, მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული დორიული ფორმის კაპიტელები, რომლებსაც ზოგიერთი მკვლევარი სვეტის კვარცხლბეკად მიიჩნევს. ეს აშკარად მეტყველებს, რომ საირხე ორდერული ხუროთმოძღვრების ქალაქი იყო წინაქრისტიანულ ხანაში.

ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული ამ ტაძრის კაპიტელები, რომელთა წონა ნახევარ ტონას აღწევს, მოტანილია საირხიდან ოცი კილომეტრით დაშორებული ბერეთისის კირქვის კარიერიდან. ეს ფაქტი კი უეჭველად გულისხმობს საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციას, მაშასადამე სატაძრო ორგანიზაციის არსებობას, რომელიც განაგებს სულიერ სფეროს და რომელიც ამავე დროს აერთიანებს მუშა-ხელოსანთა და მხატვარ-ხუროთმოძღვართა ფართო წრეს. სამოციანი წლების გათხრების შედეგად საირხე წარმოჩნდა სამეურნეო, სავაჭრო-ეკონომიკურ და სასულიერო ცენტრად — ქალაქად, რომელსაც უეჭველად უნდა ჰყოლოდა პოლიტიკური ხელისუფალი, მაგრამ მაშინ, სამი მოკლევადიანი სეზონის მანძილზე, ექსპედიციამ მათ კვალს ვერ მიაგნო.

ლეგენდები და გადმოცემები კი მიგვანიშნებდნენ, რომ ისინიც განისვენებდნენ აქ საუკუნეების ფერფლით დაფარულ უძველესი ქალაქის ფენებში. საბადურის გორის უბნის მცხოვრებლები ერთხმად ჰყვებოდნენ, რომ მათი წინაპრები აქ „ოქრო-სპილენძს პოულობდნენ და საბადურის გორა იმიტომ შეარქვეს". გავიდა ხანი და ჩვენ თვითონ მივაგენით ადამიანს, რომელმაც საბადურზე სპილენძი და ოქროულობა იპოვნა. ვინ იცის, მერამდენად ავიყვანეთ ჩია ტანის, სალი მეხსიერების მქონე მოხუცი ქალი, ნინო ქველაძე ბორცვის დასავლეთ ფერდობზე, იგი ყოველთვის შეუცდომლად გვიჩვენებდა ერთსა და იმავე ადგილს და გვეუბნებოდა რომ მან აქ იპოვა „ნახევარგირვანქიანი ოქროს სამაჯურ-ბრასლეტი, რომელიც ომამდე ტორგსინში ჩააბარა და სანაცვლოდ ბევრი ფართალი მიიღო". ჩამოზვავებულ მიწაში ოქროსთან ერთად იყო სპილენძის ქვაბები. „ერთი მათგანი, ქარისაგან რომ დაგვეცვა, ბუხრის ყელს დავამხეთ, ხოლო მეორე სხვენზე ეგდოო". რა საფასური არ შევაძლიეთ, მაგრამ ლითონის ქვაბებს ვერ იქნა და ვერ მივაგენით. აღწერილობის მიხედვით ეგრეთ წოდებული კოლხური სიტულები უნდა ყოფილიყო — „ლურჯი სახელური ცხოველის თავს ჰგავდაო". სრულიად აშკარა იყო, მოხუცი მართალს ამბობდა და ამიტომაც შევიტანე მისი ნაამბობი 1975 წელს გამოცემულ ნაშრომის სქოლიოში, მეგონა მომავალში არქეოლოგებს გამოადგებოდათ. მაგრამ 1982 წელს ახალმშენებლობასთან დაკავშირებით კვლავ მოგვეცა საშუალება საირხეში გათხრები გვეწარმოებინა და ჩვენი ყურადღება ისევ საბადურის გორამ მიიქცია. მის დასავლეთ ფერდობზე კარავი დავდგით და გათხრები დავიწყეთ. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, სამი სეზონის მანძილზე აქ გამოვლინდა ძვ. წელთაღრიცხვის VI-I საუკუნეების ნაქალაქარის ფენები, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა ხასიათის ნაგებობათა ნაშთებს, მატერიალური და მხატვრული კულტურის მნიშვნელოვან მასალებს. აქვე მიწის პირიდან 5-6 მეტრ სიღრმეზე გაითხარა ხის ძელებით ნაგები დიდებულთა აკლდამები. ძელები ნახევარმეტრიანი რკინის მძლავრი ლურსმნებით ყოფილა დამაგრებული და შემდეგ ქვის დიდი ლოდებით დაფარული. საუკუნეთა მანძილზე ხე დაფერფლილა, ქვა ფსკერზე ჩახერგილა, და ჩვენამდე მოაღწია ფასდაუდებელმა განძმა. მზეზე გაბრწყინდა შესანიშნავად ნახელავი ოქროს ნივთები: საკიდები, საყურეები, სამაჯურები, საკერებლები, ასობით ოქროს ღილაკი, ოქროს მძივები, ოქროს ფირფიტები, ოქროს მძივებისაგან შედგენილი პირამიდული ფორმის ნივთები, ოქროს ფირფიტისაგან გამოკვეთილი არწივები, იხვები, ვერძის თავისაგან შედგენილი ოქროს ყელსაბამი, ვერცხლის დიადემები, სამაჯურები, ბეჭდები და ბოლოს ოქრო-ვერცხლის ცხენების აღკაზმულობა. ყველაფერი ეს ადგილობრივ სახელოსნოშია დამზადებული. შორეული ქვეყნებიდან კი შემოუტანიათ ნატიფად ნაძერწი და შესანიშნავად მოხატული ბერძნული კერამიკა, ძვირად ღირებული (დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისათვის დღემდე უნიკალური) სირიული მინის თასი, ფინიკიური მინის ჭურჭელი ნელსაცხებლისათვის, თაზოსური ამფორები ზეითუნის ზეთისათვის და, ბოლოს, უზარმაზარი სპილენძის ქვაბი (70 ლიტრიანი), რომელთან ერთად აღმოჩნდა ძვ. წ. V საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ძეგლები, ფრინველის ქანდაკებებით შემკული მოძრავსაკიდიანი საყურეები. მათი წონა ბევრად აღემატება ნახევარ გირვანქას და ორივე ერთად 224 გრამია. მართალს ამბობდა ქველაძის ქალი. ამ აღმოჩენის შემდეგ. სრულიად აშკარა გახდა, რომ იმანაც იპოვნა ქართული კულტურის ფასდაუდებელი ძეგლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი სამუდამოდ მიეფარნენ თვალს.

არანაკლებ ძვირფასი მასალები მოიპოვა ექსპედიციამ მიმდინარე სეზონში: საბადურის გორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ფერდობის უზარმაზარი მასივი მოიხსნა, მეხუთე მეტრზე, მშრალად წყობილი კედლის თავზე, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იყო დამხრობილი, შესანიშნავად ნაჭედი დიდი ზომის რკინის ლურსმნები დაფიქსირდა. ლურსმნები ერთმანეთს თანაბარი მანძილით იყო დაცილებული და სრულიად აშკარად იკითხებოდა, რომ ისინი ერთ დროს აკლდამის აღმოსავლეთის კედლის ძელებს ამაგრებდნენ, ორი თვის მანძილზე იწმინდებოდა ამ კედლის დასავლეთით ჩახერგილი ქვაყრილი, რომელიც ალაგ-ალაგ ორი მეტრის სისქისა იყო და 35 კვადრატული მეტრი ფართობი ეკავა. ქვაყრილის მთელ სიღრმეზე ჩნდებოდა კოლხური ვერცხლის მონეტები, უძველესი ქართული ფული, რომლის ერთ მხარეზე ქალღმერთის, ხოლო მეორეზე ხარის თავია გამოხატული. ქვაყრილში აღმოჩნდა ოქროს ფირფიტისაგან შესანიშნავად გამოტვიფრული ცხენის მცირე ქანდაკება — ყელსაბამის საკიდი და ამ ყელსაბამის შემადგენელი ოქროს მილაკები. აქვე იყო ოქროს მძივები, იოტები და მთვარისებრი ოქროს საკიდები მეორე ყელსაბამისათვის. ქვებს შორის ეგდო ცვარათი შემკული რკალვარდულიანი ოქროს საყურე და ოქროს ფირფიტა, რომლის ზედაპირი გავარსით შედგენილი სამკუთხედების რიგითაა შემკული. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ჯავშნის შემადგენელ ნაწილებად მიჩნეული რკინის ფირფიტები, ბრინჯაოს ისრის პუნიკების, ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის ფრაგმენტები. ყველაფერი ეს საღაპო შეწირულობანი უნდა იყოს, რომელიც დაკრძალვის რიტუალის დროს ქვებთან ერთად აკლდამას ზემოდან დააყარეს. იმდროინდელი სარიტუალო წესების აღდგენა ახლა ძნელია, მაგრამ ის, რომ რთულ პროცესს მოიცავდა და ყველაფერი დადგენილი რელიგიური დოგმის მიხედვით სრულდებოდა, კარგად დადასტურდა ქვაყრილის აღებისა და ძეგლის პრეპარაციის შემდეგ. სამარხი კამერა ორი ნაწილისაგან შესდგებოდა, შუაზე გაყოფილი იყო მშრალად წყობილი ქვის კედლით. კამერის ჩრდილოეთ ნაწილში ემარხა სამი ადამიანი, ხუთი ცხენი და სამი ძაღლი. ცხოველთა ჩონჩხები უნაკლოდ იყო შემონახული, ადამიანთა ნეშთისაგან კი თავის ქალის ფრაგმენტების გარდა თითქმის არაფერი დარჩენილიყო. ამ ფრაგმენტებთან ერთად დაფიქსირდა ორნამენტით შემკული ვერცხლის სამი საკისარი რგოლი და ნახევარმთვარისებრი ფორმის ოქროს საყურეები, რომელთა ბოლოები გველის თავებს გამოსახავს. ცხენები სამარხში აღკაზმულობის გარეშე იყვნენ დამარხული, მხოლოდ მესამე ცხენს აღმოაჩნდა ათობით ოქროს ნივთი, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ავშრის თასმების მოსართავი ოქროს მილაკები, საფეთქლეები და დოლისებრი ფორმის ოქროს საყბეურები და საშუბლეები, რომელთა ზედაპირზე ძალზე სტილიზებული ფრთოსანი, რელიგიური პერსონაჟებია ამოტვიფრული. მესამე ცხენის თავთან შესანიშნავად ნახელავი რკინის სამფეხზე იდგა უზარმაზარი სპილენძის ქვაბი, სწორედ ისეთი, როგორიც აქ 1983 წლის სეზონში იყო მიკვლეული, და სარიტუალო-საზვარაკე ჭურჭლად მიჩნეული. კამერის სამხრეთ ნაწილში განისვენებდა ის, ვისთვისაც ეს აკლდამა ააშენეს და რთული რელიგიური რიტუალი შეასრულეს.

სამწუხაროდ, მისი ნეშტისაგან თითქმის არაფერი შემოინახა, კამერის შუაში რამდენიმე კბილი და მკლავის ძვალი გაიწმინდა მხოლოდ, მათთან ერთად აღმოჩნდა ზურგშეზნექილი მასიური ოქროს სამაჯური, რომლის ბოლოები გამოხატავენ ერთმანეთზე ტუჩებმიდებულ მაღალმხატვრულად ნაქანდაკებ ვერძის თავებს. ასეთი სამკაულის პოვნის ეს მეორე შემთხვევაა საქართველოში. ვანში აღმოჩენილი ზურგშეზნექილი სამაჯურები, რომელთა ბოლოები ჯიხვის თავის სკულპტურებით ბოლოვდება, ფორმის მიხედვით სრულ ანალოგიას პოულობს საირხულთან, მაგრამ სტილისტურად საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან და უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ აქემენიდური საიუველირო ხელოვნების გავლენით ნახელავი ეს შესანიშნავი ძეგლები ადგილობრივი ოქრომჭედლობის სხვადასხვა სახელოსნო ცენტრშია დამზადებული. კამერაში აღმოჩნდა მეორე სამაჯური, ვერცხლის მონეტები, მძივები, ოქროს მთვარისებრი საკიდები ყელსაბამისათვის და ბურთულიანი ოქროს საყურე, რომელიც ქართული საიუველირო ხელოვნების, ამ სახის სამკაულის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალმხატვრული ნიმუშია. ეს მონაპოვარი აფართოებს ჩვენ წარმოდგენას ქართული კულტურის შესახებ და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს უძველესი ისტორიის შესასწავლად. ანტიკური ხანის კოლხური კულტურისა და მისი სტილის ერთიანობა, ვანის გარდა, არც ერთ არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩენილ მასალას არ დაუდასტურებია ისე ნათლად და დამაჯერებლად, როგორც ამას საირხის ნაქალაქარის მასალები ადასტურებს. საირხეს დიდი მნიშვნელობა აქვს იმითაც, რომ იგი გვერდში ამოუდგა ვანს და მასთან ერთად იძლევა უძველესი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-იდეოლოგიური და ეკონომიური სტრუქტურის გამოსაცნობ გასაღებად. ქართლის საზღვარზე მდგარი ამ ძეგლის მონაპოვარში ყველაზე კარგად ჩანს აღმოსავლური და დასავლური კულტურის შეხვედრის მომენტები. ამდენად მოგვიანო ხანის მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ერთიანი უძველესი ქართული სახელმწიფოს ისტორიის შესასწავლად, რომლის გამაერთიანებლად მატიანე მეფე ფარნავაზს მიიჩნევს. ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი ეს მონაპოვარი დაამშვენებდა ნებისმიერი ცივილიზებული ერის მუზეუმს. მის გამომზეურებაში დიდი წვლილი მიუძღვით მუზეუმის თანამშრომლებს ამირან დავითაშვილს, გია მახარაძეს, გოჩა ლომთაძეს, მანანა წერეთელს, ნანა დარახველიძეს, მარიკა ნოზაძეს. მათ მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად ყველაფერი გააკეთეს ძეგლის მაღალ მეცნიერულ დონეზე გათხრისა და შესწავლისათვის. არქეოლოგიური გათხრებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს და ექსპედიციას დახმარება გაუწიეს ჭიათურისა და საჩხერის რაიონის, კულტურის სამინისტროსა და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ჯურხა ნადირაძე,
ექსპედიციის ხელმძღვანელი.

სურათებზე: არქეოლოგიური გათხრები საირხეში; ოქროს სამკაულები (ძვ. წ. IV ს.);
ა. მამაპარიანის ფოტო

სპეკულანტები თავისას არ იშლიან

როგორც უკვე ვიუწყებოდით სუსხიანი ზამთრის გამო ციტრუსოვანთა მოსავალი წლეულს საგრძნობლად ნაკლებია. ამიტომ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მეციტრუსეებს, მათ მოსავალი უდანაკარგოდ უნდა აიღონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ.

სამწუხაროდ, იოლი გამდიდრების მოყვარულნი მაინც თავისას არ იშლიან, რა ხერხს არ მიმართავენ იმისათვის, რომ როგორმე გაძვრნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსოვანთა ნაყოფით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

სწორედ ასეთთა ასალაგმავად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დროულად შემუშავდა ღონისძიებანი და განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა მოსავლის ყოველგვარი დანაკარგების და მისი უკანონოდ გატანის აღსაკვეთად. ამ მიზნით მოეწყო სოფლის მშრომელთა შეკრებები, რომლებზეც მათ ერთხელ კიდევ განემარტათ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მშრომელთა წინაშე მდგარი ამოცანები, დაისახა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინაამდეგ ბრძოლის გზები და მეთოდები. მაგრამ ზოგიერთები მაინც არ იშლიან მრუდე გზით სიარულს, კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში გაგრის სატრანსპორტო საკონტროლო პუნქტზე ჩამორთმეულია სასპეკულაციოდ გასატანი 25 ტონაზე მეტი ციტრუსები და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

გაგრაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მცხოვრები ვასილ უშანგის ძე სირაძე 6 ნოემბერს ცდილობდა საკუთარი „ვოლგით" 300 კილოგრამი მანდარინის გატანას. მას მანდარინი ჩამოართვეს და მკაცრადაც გააფრთხილეს, რის შესახებაც 13 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტის" სარეიდო ბრიგადის წერილში იყო ლაპარაკი. მაგრამ ვ. სირაძემ მაინც თავისი არ მოიშალა, გაფრთხილება არაფრად ჩააგდო და სამი დღის შემდეგ, 9 ნოემბერს, კვლავ დატვირთა მანდარინით თავისი „ვოლგა" და შორეულ გზას გაუდგა. აქ ჯერადაც დააკავეს...

ქ. გაგრაში მცხოვრები დაბა ბიჭვინთის კოლმეურნეთა დასასვენებელი სახლის მძღოლი მიხეილ მანაშეროვი საკუთარი „ჟიგულით" დააკავეს და 180 კილოგრამი მანდარინი ჩამოართვეს. ასეთივე ბედი ეწიათ ახალათონელ ამოტ ზეითუნიანს, ხობის რაიონის ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის მუშას ომეხ ხარბედიას, მახარაძის რაიონის № 2 ავტოსაწარმოს მძღოლს ვიქტორ რასხოლოვს.

გაგრის სატრანსპორტო-საკონტროლო პუნქტს მოადგა თეთრი „ვოლგა", რომელსაც გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშარის მცხოვრები დათიკო შულაია მართავდა, მას 210 კილოგრამი ხურმით დაეტვირთა ავტომანქანა და გეზი მოსკოვისაკენ აეღო.

დ. შულაია პარტიის წევრია, დიდხანს ცხოვრობდა მოსკოვში, თითქმის ერთი წელია მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და დღემდე არსად მუშაობს (?!).

საკუთარი „ჟიგულები" ხურმით დაეტვირთათ და შორს სავაჭროდ მიემგზავრებოდნენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის მცხოვრებლები იაროსლავ სუბელიანი. არკადი ჩაგავა, ახალი ათონის მცხოვრები სუმბათ მეგრიკიანი და სხვები.

საგუშაგოზე დააკავეს აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის მცხოვრები ჯუმბერ ჭაპანაძე. მას გასასაღებლად მიჰქონდა 400 ცალი ჩურჩხელა, რომელიც, როგორც თვითონ განაცხადა, ზუგდიდის ბაზარში უყიდია.

იოლი გამდიდრების ბევრი მოყვარული ცდილობს თავისი ბნელი განზრახვა რკინიგზის ტრანსპორტითაც განახორციელოს.

სადგურ სოხუმის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების მუშაკებმა სოხუმ-სოჭის ელექტროსექციის ვაგონიდან ჩამოსვეს სოხუმის რაიონის სოფელ ქვემო იაშთხვის მცხოვრები ეთერ ცხვარაძე, რომელსაც 220 კილოგრამი მსხალი ჩაეტვირთა ვაგონში. იგივე მატარებლიდან ჩამოსვეს აგრეთვე სოფელ ეშერის მცხოვრები იური არძინბა, რომელსაც 180 კილოგრამი მანდარინი გადაჰქონდა, ხოლო მის მეზობელს დემოსთენ ორფანიდის კი 170 კილოგრამი მანდარინი ჩამოართვეს. გულრიფშის რაიონის სოფელ შაუმიანოვკის მცხოვრებ ზეინაბ ოქსუზიანს კი 100 კილოგრამი მანდარინი გადაჰქონდა, სოხუმის რაიონის სოფელ შრომის მცხოვრებ იასონ თოდუას და გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მცხოვრებ ქორჟი ქარდავას 100-100 კილოგრამი ხურმა მიჰქონდათ გასასაღებლად.

მილიციის მუშაკებმა გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის საწყობის (გამგე — ბ. ჯანაშია) შემოწმებისას 5 ნოემბერს 800 კილოგრამი ფეიჰოას დანაკლისი აღმოაჩინეს. წინასწარი მონაცემებით ისე ჩანს, თითქოს საწყობი გაეტეხოს ვინმეს. მაშინ ისმება კითხვა, როგორ გაქრა ერთ ღამეს ასე უგზო-უკვლოდ გადარჩეული და ყუთებში ჩალაგებული მეორე დღეს დანიშნულებისამებრ გასაგზავნი ფეიჰოას ნაყოფი?!

ეს ფაქტები, სამწუხაროდ, მოწმობს, რომ აქა-იქ ამ ძვირფასი მოსავლის დაცვა საიმედო ადამიანების ხელში არ არის.

ჩვენს სამეურნეო საქმიანობას დიდად უშლის ხელს სპეკულანტებისა და სხვათა ლტოლვა სხვადასხვა ქალაქის ბაზრებისაკენ. ყოველივე ამის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლაა საჭირო. ცდებიან, როცა ფიქრობენ, თითქოს ყველაფერი ეს მხოლოდ იმათ ეხებოდეს, ვინც საკუთარი ან სხვისი პროდუქტით შორეულ ბაზრებში ვაჭრობს. ამაზე პასუხი უნდა აგონ იმ კოლექტივებმაც, რომლის წევრებიც ამ კანონიერ თუ უკანონო აღებ-მიცემობაში მონაწილეობენ. დაწესებულებები, პარტიული ორგანიზაციები გულისყურით უნდა მოეკიდონ ამ მეტად პასუხსაგებ საქმეს.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მას მწვერვალები ემორჩილებოდნენ...

მესტიაში, ცნობილი მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის სამშობლოში, გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი. ამიერიდან კავკასიონის მწვერვალებზე თითოეული მთამსვლელის ასვლა დაიწყება ამ სახლიდან...

საფესტივალო პროსპექტი

ახალგაზრდული თეატრების სადღეისო პრობლემა

ახალგაზრდული სპექტაკლების მეორე საკავშირო ფესტივალმა თბილისში ოც თეატრალურ კოლექტივს მოუყარა თავი. წლევანდელ ფესტივალს განსხვავებული დებულება აქვს. როგორც ცნობილია, საკავშირო კულტურის სამინისტრო სისტემატურად აწყობს ახალგაზრდა შემოქმედთა დათვალიერებას, რომლის შედეგებიც ყოველ ორ წელიწადში...

... რომ ქარხნის დირექცია ერთი თვის გამოსაცდელი ვადით წარმოების ხელმძღვანელობას ახალგაზრდა სპეციალისტებს ავალებს. რეჟისორი თავიდანვე საინტერესო გამომსახველობითი საშუალებებით ამახვილებს ყურადღებას მათი ცხოვრების წესზე, ხოლო ადამიანები, რომლებიც აქამდე წინა პლანზე იყვნენ, სცენის კუთხეში იკავებენ ადგილს...

სარბიელი

საფეხბურთო ორბიტა

ფეხბურთი. „უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ გათამაშების ცხრილში კოლექტივები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ	20	8	5	68-24	48
„სპარტაკი"	17	10	6	68-27	44
„დნეპრი"	16	10	7	68-38	42
„დინამო" მნ	16	9	8	39-28	41
„ტორპ." მ	13	9	11	39-37	35
„ჟალგირისი"	12	11	10	42-45	34
„ზენიტი"	13	7	13	45-37	33
„მეტალისტი"	12	7	14	38-52	31
„შახტიორი"	10	11	12	43-42	30
„ყაირათი"	10	13	10	42-46	30
„არარატი"	10	11	12	39-43	30
„დინამო" თბ	10	10	13	31-38	30
„ჩერნომორ."	11	7	15	44-64	29
„ტორპ." ქთ	10	9	14	38-50	29
„დინამო" მ	11	6	16	37-50	28
„ნეფთჩი"	9	10	14	30-40	28
ფაქელი"	8	9	16	22-44	25
ასკ რ	7	7	19	35-58	21

ბოლო ტურის კალენდარული მატჩების განრიგი ასეთია (ეს შეხვედრები გაიმართება 23 ნოემბერს): თბილისის „დინამო" — „მეტალისტი", ქუთაისის „ტორპედო" — კიევის „დინამო", „სპარტაკი" — „ჟალგირისი", „ზენიტი" — მინსკის „დინამო", „არარატი" — „შახტიორი", „ნეფთჩი" — მოსკოვის „დინამო", „დნეპრი" — მოსკოვის „ტორპედო", „ჩერნომორეცი" — „ყაირათი", როსტოვის ასკ — „ფაქელი". ახლა როცა ცნობილია სსრ კავშირის ჩემპიონისა (კიევის „დინამო") და ვერცხლის მედლების („სპარტაკი")) მფლობელთა ვინაობა, ბოლო ტურის მატჩებმა უნდა გამოავლინოს ბრინჯაოს პრიზიორი და აგრეთვე ის კოლექტივები, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ოთხთა ტურნირში მოუწევთ ასპარეზობა.

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის განმეორებითი შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და კვიპროსის ნაკრებ გუნდებს შორის, შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 5:0 სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით.

ძიუდო. შვეიცარიის ქალაქ დელემონში დამთავრებულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე სხვა საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად წარმატებით იასპარეზეს ქუთაისელმა **ავთანდილ გუბელაძემ** (მძიმე წონა), თბილისელებმა **გელა ბერუაშვილმა** (95 კგ) და **ვახტანგ ჯაფარიძემ** (60 კგ). ისინი აქ ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

კალათბურთი. მოსკოვსა და კიევში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. გთავაზობთ პირველი დღის შედეგებს: **მოსკოვი.** ლენინგრადის „სპარტაკი"-ტაშკენტის უნივერსიტეტი — 84:69, ცსკა-მოსკოვის „დინამო" — 101:81, **მინსკის რტი — თბილისის „დინამო"** — 84:93; **კიევი.** კაუნასის „ჟალგირისი"-კუიბიშევის „სტროიტელი" — 119:91, კიევის „სტროიტელი"-ვილნიუსის „სტატიბა" — 81:105, კიევის ასკ-რიგის ვეფ — 96:70.

ჭადრაკის დაფებთან

მოჭადრაკე ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში მიმდინარეობს, გათამაშდა მეოთხე ტურის პარტიები...

„კომუნისტი"
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

ჩვენი ტელეეკრანი

მოსკოვი

... ტურაში". 17.35 — მამის სახლი. 18.05 — საკონცერტო დარბაზში მოსწავლეები არიან. 18.55 — ყოველ ნახატში მზეა. 19.10 — ...

თბილისი